შაბათი, 31 ოქტომბერი.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ფასი 15 კაპ.

№№ 15—16 გაზ. ,,კომუნისტი''-ს სალიტ.-სამხატვრო ორკვირეული დამატება №№ 15—16

დ. თურდოსპირელი.

# ციხის პირველი შთაბეჭდილება

(დასასრული *)

ჩვენც წამოველით სულ დაჰინჭრულნი...
გზაში ხმა არ ამოგვიღია...
კრიჭა შეგვეკრა...
მე დამეკარგა სულის სიმშვიდე...
ყველგან მეჩვენებოდა:
ორი მრისხანე სვეტი
შუაში სკამი
წითელ ხალათ გადაცმული ჯალათი...
აჰყავს მას არსენა...

არსენა ამაყად გადაჰხედავს გარემოს და ამბობს:

— მე მახრჩობენ... მაშასადამე ეშინიანთ ჩვენი...

ჩვენ...
ლაპარაკს აღარ აცლიან...
დაჰკრეს ნაღარას...

განგაშში ჩაახშობენ არსენას ცეცხლოვან სიტყვებს...

ჯალათიც გაცოფიანებული მიჰვარდება არსენას...

თოკის ყულფში გაუყრის კისერს...
ხელსა ჰკრავს
და...

ხარხარით... გიჟი... შეშლილი ხარხარით დაეჯაჯგურება არსენას...

ჩამოეკიდება, რომ გაჰგუდოს...
თვალები...
თვალები გადმოცვივნილან...
გადმოკარვლულან...

***

დავბრუნდით წელ-მოწყვეტილნი... ჩაფუფქულნი...

ლევანი სახლში დაგვხვდა...

დედამ უთხრა არსენას საშინელი... უბუნეო სი კვდილი...

ლევანს ჯერ ფერმა გადაჰკრა...
სამარიდან ამოღებულს დაემსგავსა...
თვალებიდან ცრემლები წამოეჟურა...
ხანგრძლივი, მტანჯავი დუმილი ჩამოვარდა...
დუმილი მრავალ ნაირია...

დუმილი ჩამოვარდება ხოლმე მტერზე გამარჯვების შემდეგ, როცა დაძაგრული გრძნობები დაიქანცებიან... მიილულებიან...

დუმილი მეფობს ტყეში, ვიდრე განთიადი ნისკარტს გაჰკრავდეს, ვიდრე ფრთოსანთა ქვეყანა გაიღვიძებდეს...

დუმილი ჰშლის თვის შავს, კარავს დამარცხებულთა ველზე, როცა გადივლის მოჰარბებულ მტრის მიერ აზრიალებული ქარტეხილი.

დუმილია მაშინაც, როცა ილესებიან შურის ძიების ხმლები...

მაგრამ სულ სხვაა... უჩვეულოა დუმილი მაშინ, როცა გაიგებ რომ ჩამოუხრჩვიათო ამხანავი, სულის მეგობარი მაშინ, როცა შენ ჯერ მზად არა ხარ სამაგიეროს მისაზღავად...

კარგა ხანს გასტანა ამ დუმილმა...

უეჭველია დიდი ღელვა სწარმოებდა ლევანის გულში...

როგორც იყო დამშვიდდა... ცრემლები მოიწმინდა და დაუწყო დედას ლაპარაკი ისე ჩუმად, რომ მე ვერ გამეგო. ეგონა მე გართული ვიყავი რაღაც ფუსფუსში და ვერ გავარკვევდი მათს ჩურჩულს...

— დედი, ზარმხდომელია არსენას ჩამოხრჩობა, მაგრამ მე მაინც მოხარული ვარ... კარგია რომ... არსენა მოკვდა... მოკვდა გმირულად...

— როგორ, შვილო?.. მე არა მესმის რა შენი...

— უნდა გამოგიტყდე, დედილო, არსენას მდგომარეობა მე ძალიან მაფიქრებდა... მთელი ღამეები უძილოდ გამიტარებია... არსენა უეჭველია, მამაცი, მტკიცე ნების ყოფის მუშა იყო, მაგრამ—ზოგიერთებს მაინც გვეშინოდა —არ მოეტეხნათ... ხომ იცი, ამ ჯალათებმა ჯოჯოხეთური წამება იციან, რომ როგორმე დააშინონ... მოსდრიკონ პატიმარი... დანით უსერავენ სხეულს... თავზე მუხრუჭს უჭერენ... ელექტრონით აწვალებენ... იმდენ ხანს ჰგვემენ, ვიდრე ან ხელში არ შემოაკვდებათ, ან არა და არ დააფქვეინებენ ყველაფერს... არ ათქმევინებენ პარტიულ ორგანიზაციის საიდუმლოებასა.

ჩვენ ვიცოდით, რომ არსენას მეტად აწამებდნენ... შეგვეშინდა... ე მანდ არ გასწყდეს წვრილიანში... ვაი თუ წამებამ შეაკრთოს... რა უყოთ, რომ მტკიცეა... როდემდი გასძლებს?.. ის ახალგაზრდაა... გამოუცდელ... სიცოცხლე ტკბილია... მეტადრე უფრო დაათაფლებენ, თუ ოქრო აუჩხრიალეს... ხომ გახსოვს რუსთველის ნათქვამი:

„დახე, თუ ოქრო რასა იქმს,
კვერთხი ეშმაკის ძირისა"!..

ვინ არ შეუცდენია ოქროს... რამდენჯერ გაუჩირაღდნებია ქრთამს ჯოჯოხეთიცა და სამოთხეც...

მარტო საფრანგეთის რევოლიუციის ამბავი რადა ღირს.

ოქროს ბრჭყვიალმა სახელოვანი მირაბოც კი შეაცდინა... რევოლიუციის წმინდა საქმე გააყიდვინა...

ხომ შეიძლება ლითონის ჩხრიალმა არსენაც დაჰლუპოს:

მივლენ და ეტყვიან:
აირჩიე ორში ერთი:

ან სახრჩობელა და ზედ ფართხალი გადმოვარდნილი ენით...

ან არა და...

ორი სიტყვა... მხოლოდ ორი სიტყვა, თუ სად იკრიბებიან თქვენები და... ფეშქაშად მიიღებ:

ტკბილს სიცოცხლეს...
სიმდიდრეს...
ფუფუნებაში გაატარებ დროს...
აბა, ჭკვით მოიქეც არსენ...
ორივე შენს ხელთ არის:

სახრჩობელას თოკიცა და თავისუფლების გასაღებიც...

აიღე ეს გასაღები...
ვინ გიშლის...
აიღე და...
აგცდება სახრჩობელა...
გაგეღება ციხის კარი...
ეღირსები დედის ნახვას...

ოქრო თავზე საყრელი გექნება...

გიყვარდეს ქეიფი და ლოთი-ფოთობა...

ვიცოდით ასეთი საუბარი ჰქონდათ არსენასთან და გვიღონდებოდა გული... ათასი ეჭვი გვიპყრობდა...

არსენა ყველას იცნობს...

ყველას დაჭერინება შეუძლიან...

დაგვანელებს...

სტამბასაც ხელში ჩაუგდებს...

სამხედრო საწყობსაც...

დიდ-პატარა მუშაკებსაც...

— ყველა, ყველა მაგასა ჰფიქრობდით?.. ყველა მაგრე აყენებდით შეურაცხყოფას ბედკრულს არსენას მაშინ, როცა მას შეიძლება სიკვდილის ოფლს ასხავდა?..—იკითხა დედამ და მწუხარების ნისლმა მოუბურა სახე...

— არა, დედიჯან, არა!.. მე მიხარიან, რომ შენ ესე აგაშფოთა ჩვენმა ეჭვიანობამ... ახ რა მდიდარი გრძნობის პატრონი ხარ, დედიკო... რა სპეტაკი... რევოლიუციის სვინიდისის დახატვა რომ შეიძლებოდეს—უეჭველად შენ დაგხატავდა მხატვარი დედავ... შენა ხარ რევოლიუციის სპეტაკი, ულაქო სვინიდისი და არ გინდა ჩრდილი მიადგეთ რევოლიუციის კეთილშობილ რაინდებს... სთქვა ლევანმა და დედას მოეხვია... გრძნობით... გრძნობით ჩაჰკოცნა და განაგრძო:

— არა, დედილო, ის შიში მხოლოდ მცირე ჯგუფისა იყო. უმრავლესობა კი ვერ შერიგებოდა ამ შესაძლებლობას... გვგმობდა... გვირისხდებოდა:

— სირცხვილია, სირცხვილი ასეთი ფიქრი..

არსენას თქვენ არ იცნობთ...

„ჭირში იცნობის ვაჟკაცი,

მისი სიმტკიცე გულისაო“...

ხალხის სიბრძნემ არსენასანა პირზედა სთქვა ეს მშვენიერი ლექსი...

სხვა გმირია არსენა...

სხვა ნაირ ძუძუთია ნაზარდი...

რძენაწყენა პირებისთანა ვინმე ნუ გგონიათ, რომელნიც ხურმასავითა ჰყიდიან სვინიდისს...

არსენა მათგან ისევე განირჩევა, როგორც შუქურ ვარსკვლავი ბაყაყებისაგან...

მალე ყველა ჩვენ ჯალათებად გადავიქცევით, ვიდრე არსენა გვიღალატებდეს...

საბედნიეროდ მართალი გამოდგა მათი მტკიცება...

ისინი გამართლდნენ...

ჩამოუხრჩვიათ ბედ-კრული...

მაშასადამე ღირსეულად სჭერია თავი...

გმირული საქმე ჩაიდინა და გმირულადვე მომკვდარა...

* * *

რაკი სოსო პირველ კვირას ვერ ვნახეთ—მის სწორზე ისევ წაველით...

ტუსაღებთან მისულთა მიღება უკვე დაწყობილიყო.

რის საცოდაობით ჩავეწერენით სიაში...

დიდხანს გვალოდინეს...

ჯანჯალით მოაწია ჩვენმა რიგმაც...

ჯერ საფუძვლიანად გაგვჩხრიკეს...

# ჩემი ჩონგური.

1.

ქარხნის გულია
ჩემი ჩონგური,
მსმენელები კი
მშრომელი ძმები;
ოქროს მაგივრად
მას ამკობს მური
და მედიდური
გაისმის ხმები.

2.

რა წამსაც სიმებს
შევახებ თითებს,—
მყის ათრთოლდება
ათასი გული;
და ამ ჰანგების
წკრიალა ზვირთებს
ისმენს და მისდევს
ყველა ჩაგრული.

3.

ვიცი, ბევრს იგი
არ ეამება,
არც საჭიროა
დაუგდონ ყური,
რადგან სიამე
მოეშხამებათ,
რომ მოისმინონ
ჰანგი მუშური.

4.

ჩვენ კი, შრომის და
ბრძოლის ჩონგურო,
დაჰკრათ,
მცონარებს დაუფრთხოთ ძილი,
რომ აზანზარდეს,
გრდემლი და ურო,
როგორც ქარხნების
მხნე მოძახილი.

გ. ქუჩიშვილი.

---

გვიფათურებდნენ ხელებს და მეგონა ყინულს თითები გამოუსხავს და იმით გვჭიდებიან მეთქი...

მათი უტიფრობა იქამდის მივიდა, რომ... ვთქვა?..

პირიც კი დაგვაღებინეს...

იჭვნეულობდენ პირში არა ჰქონდეთ რა დამალული...

ვაი მათ, ვისაც ასე ეშინიან მტრისა...

შეველით გვერდების მტვრევით... ზედაწყვეტით...

მავთულ-რკინების ლასტი იყო ორლობედ გავლებული...

ლასტსა და ლასტ შუა ციხის პოლიციელი დაიბოტებდა...

ვერ ვიტყვი, რა ხოთუმისა იყო ის ვაჟბატონი...

ჯოჯოხეთურ წამებას განიცდიდნენ მნახველ-ტუსაღები...

მითიურ ტანტალის საცოდაობა მკრთალდებოდა აქაურ საშინელებასთან...

იყო განწირულება, დაღონება...

ხელიც კი ვერ გაეწოდებინათ ერთმანეთისთვის გაუნელებელ ტანჯვის ოდნავ შემსუბუქებლად მაინც...

ის კი არხეინად დადიოდა...

ისე ეჭირა თავი, თითქოს მის ირგვლივ უდაბნო ყოფილიყო... ჭაჭანება არსად ისმოდეს...

ბია ბუად მიაჩნდა ოხვრა და ვიშ-ვიში.

მისი დაჯირჯვლებული ცხვირიც კი ყალყზე შემდგარიყო...

ამპარტავნულად ქშინავდა...

თვის გამორეცხილ თვალებს ვერცხლის წყალსავით ათამაშებდა...

ხომ შორიშორს ვიყავით ერთმანეთისგან—მაინც არ გვენდობოდა... მაინც ფრთხილობდა სასწაულებრივად არ გადაგვეწვდინა უხილავი რამ ნივთი...

ვაწვებოდით რკინის ლასტს...

იდგა ღრიანცელი...,

წიოკობა...

ადგილებზე ცილაობა...

დაჯაბნვა ერთმანეთის...

ყველა ჰყვიროდა, რომ სიტყვა მიეწვდინა თავისიანისთვის...

გარეთ კი საგანგებოთ მოვილაპარაკეთ...

შევთანხმდით, დაბალი ხმით გველაპარაკნა...

უეჭველია ტუსაღებიც ერთურთს პირობას მისცემდნენ, რომ არ იყვირებდნენ...

ყოველ კვირა თურმე ასე შეიფიცებიან, მაგრამ არა გამოდის რა...

* * *

კუთხეში ერთი ბებერი დედაკაცი იდგა და გულ-ამოსკვნით სტიროდა...

მეორე ლასტს იქით კიდევ მისი შვილი-ტუსალი ილველფებოდა...

სცდილობდა შეემაგრებინა ცრემლები, მაგრამ ქვის გულიც გქონდეს—მაინც აჰყუჩდები, როცა ჰხედავ მტირალ დედასა...

— რა მითხარი, შვილო, რა?..—გაიმეორე...

გამეორება კი არა - მეათედ ეუბნებოდა შვილი... ჰყვიროდა... სახის მოძრაობასაც იშველიებდა, მაგრამ ამაოდ...

დედაკაცს მწუხარებისაგან ყურთ დაჰკლებოდა და აბა რას გაიგებდა იმ სიშორეზე მდგარს შვილის ლაპარაკსა ისიც იმ ღრიანცელში...

ერთი წელია შვილი გადმოკარგული ჰყავს ციხეში...

ახლა ძლივს მოეხერხებინა შორეული მთიულეთიდან ჩამოსვლა...

კითხვის კითხვით მოეგნო...

ამაოდ კი ჰკარგავდა დროს...

მერმე რამდენი ბოლმა უტრიალებდა გულში...

რამდენი რამა ჰქონდა საკითხავი...

საბრალომ ციხის უფროსს დაუჩოქა მუხლის კვერებზე...

გაქვავდა, გაქვავდა ის შეჩვენებული...

არ შეისმინა მუდარა...

ნება არ დართო ცალკე ნახვისა...

ამ ციხის უფროსმა თვისი გულქვაობით მომაგონა ის სანთლის კაცები, რომლებიც გამოდგმული არიან ტანისამოსის ყაფაზებზე... თვალების გუგაში სულის სარკმლები კი არა აქვთ, საიდანაც გამოკრთის დიდი გრძნობა და სიყვარული... არა... შუშის... უბრალო შუშის ბურთები აქვთ ჩასმული... მკერდის ქვეშ სათუთი, მოფართქალე გულის ნაცვლად ბამბები აქვთ ჩაჩურთული...

მეჯავრება... მეჯავრება მაღაზიების ვიტრინების დათვალიერება, როცა უაზროდ შემოგცქერის სანთლის კაცი—მონეკენი— ეს პაროდია ადამიანისა...

ეს ციხის უფროსიც ისე გამოთაყვანებულად გამოიყურებოდა...

არაფერი, არაფერი ადასტურებდა იმას, რომ მასში ოდნავი ადამიანობა მაინცა ყოფილიყო...

* * *

დედამ მალე მოსძებნა სოსო ტუსაღთა შორის და ჩვეულებრივად შეაფრქვია:

მშობლიური სიყვარული...

სითბო...

სიტკბოება...

მიუხედავად იმოდენა ხალხის ყვირილისა—ხმას მაინც აწვდენდა...

მხოლოდ ხან და ხან გაუწყდებოდა სიტყვა...

ესა ხდებოდა მაშინ, როცა ცრემლები მოებჯინებოდა.

— შენს თავს გაუფრთხილდი, შვილო!..

დარდი ნურაფრისა გექნება...

ჩვენ მუდამ მოგხედავთ...

აი ცოტაოდენი რამ მოგიტანე...

ლევანის სუფთა საცვლებიცაა შიგა...

ჰუჰყიანები გაიხადე... გასარეცხად გამომიგზავნე...

ამასთან ერთად რაღაცეებს მოუყვა:

ნართაული სიტყვებით...

ქარაგმით...

ეს უეჭველია შეეხებოდა მუშების საიდუმლო მუშაობას...

* * *

ფარსაგად ვერც კი მოვასწარით გამოსაუბრება, რომ გაისმა სტვენა „სვისტოკისა"...

ისე დაფეთიანებით უსტვენდნენ, თითქოს ხანძარი გაჩენილიყოს...

გვიწყეს გამორეკა...

უფრო გაძლიერდა ხმაური...

ქვითქვითი...

რამდენიმეს გული შეუღონდა...

ასწიეს და ისე მოლეშილი გაიყვანეს გარეთ...

დედასაც კვლავ ამოუჯდა გული...

მყის მოგვაგონდა, რომ იის კონაც მოუტანეთ, მაგრამ ისე გავოგნდით იმ ღრიანცელით, რომ ხელში შეგვრჩა...

დედამ გამომართვა და გადასცა მეციხოვნეს, რომ სოსოსთვის გადაეცა...

ცივს უარზე დადგა ის უჯიგრო ისა...

— ბავშმა, ბავშმა მოუტანა...

— მიბრძანდით... მიბრძანდით... არ შეიძლება...

— გაიხსენე შენ კი არა გყავს ბავშვები...

მათი გულისთვის მაინც...

— გასწი მეთქი...

— ან თვით არა ჰყოფილხარ ბავშვი?.. რა დამნაშავეა ბავშვი, რომ ასე სჯი... რომ არ უსრულებ სურვილს—გადასცე ეს იები თვისს მოკეთეს... გადაეცი შენს გახარებას...

მეორე ლასტს იქიდან სოსო ეხვეწებოდა...

გაქირდა ინადიანი...

აენთო სოსო...

ცეცხლი წამოსცვივდა თვალებიდან...

— ჰხედავ, დედილო, ბალღის მოტანილი იებისაც კი ეშინიანთ... ჰგონიათ ყუმბარა იქნება მისს პაწაწა ფოთლებში დამალული...

აქ ყვავილებიც სახელმწიფოს მტრებად, კრამოლად ითვლება...

ოდნავაც არ აჭარბებდა სოსო...

როდესაც წამოვიზარდე და ჩემთვისაც გაიღო ის საბედისწერო კარი, რომელშიაც ბევრი შედიოდა, მაგრამ მეტად ცოტა ღა ბრუნდებოდა უკან—ისიც მრავალ წლების შემდეგ —იქ იმ რუხ და უნუგეშო კედელთა შორის დარწმუნდი, რომ ნიკოლოზის „დერჟიმორდებისგან" ყვავილებიც მართლა ისევე სასტიკად აკრძალული იყო, როგორც მზის სხივები... სუფთა ჰაერი... საერთოდ ყველაფერი ის, რასაც ბუნება იძლევა ულეველად და უანგარიშოდ...

* * *

დრტვინვით გადიოდა ხალხი...

ტუსაღები ფეხის ბრჩხილებზე დგებოდნენ და ისე აცილებდნენ ცრემლებით აკანკალებულ თვალებით მოყვასებს...

ასე დგება ფეხის ფრჩხილებზე ჩამავალი მზე რომელსაც არა ჰსურს განშორება... ყვავილებთან... ხეებთან... მთის მწვერვალებთან...

ნახვამდის... ნახვამდის...

ვინ იცის ყველა ეღირსება კვლავ შეხვედრას?..

რამდენისთვის ჰგრეხს ჯალათი ახალ თოკებს...

კიდევ რამდენი მოქვითინე დედა შეუერთდება არსენასთანა დაჟალხულ დედებს...

* * *

პოლიციელთა „სვისტოკიც" წიოდა და წიოდა...

ისიც კი ჯაათში გვედგა...

მე ერთხელ კიდევ შევხედე სოსოს მოსიყვარულე სახეს...

— დაიხსომე ეს, პატარავ!.. დაიხსომე, რომ რომ ნება არ მოგცეს შენი მოტანილი ია გადმოეცათ ჩემთვის... როცა გაიზრდები—მოჰკითხე ამათ პასუხი... შეებრძოლე..—მეუბნებოდა იგი უსიტყვოდ... მხოლოდ სახის მეტყველებით...

— გაიგე?—შემეკითხნენ მისი ჭკვიანი თვალები...

— დიახ, გავიგე!..

გავიგე და ავასრულებ კიდეც დავალებას...

უეჭველად ავასრულებ...—გაეხმაურნენ ჩემი თვალები...

— შემომფიცე!..—კვლავ მომმართა მისმა გაცრეცილმა სახემ.

— გეფიცები დედას, რომელიც ასე უზომოდ მიყვარს.

— კიდევ?..

— არსენ ჯორჯიაშვილის ნათელ ხსოვნას!..—მიუგე მე ანთებულ თვალებით.

— კარგი. მშვიდობით...

— მშვიდობით... ნახვამდის!..

რაკი დამაგვიანდა, პოლიციელმა საქოჩრეში მტაცა ხელი და ისე გამომაბრძანა გარეთ...

* * *

მოვდიოდი და თან მომდევდა სოსოს რისხვის მკვესელი თვალები...

გულში მიფანცქალებდა მისი დავალება...

ბევრი რამ დამავიწყა ტიალმა ცხოვრებამ.

ხოლო მისი დავალება ცეცხლის სიტყვებით ამოიჭრა ჩემს მკერდზე და წარუხოცელი დარჩა... შემდეგაც იელვარებს, ვიდრე სიკვდილის ცივი სუნთქვა არ ჩამიქრობს სიცოცხლის უკანასკნელ შუქსა...

# სოფლის სურათები

I

კვირა დღეა...

ღორ-ხბო უკვე გაირეკა მინდვრად, ბლავილით...

ატლასლოყება მზე გადმოადგა სერს, თვალების ფშვნეტით, და მარჯვის ტუჩებზე ღიმილით აელვარებულმა გადმოიშალა აბრეშუმის ნაწნავები...

ნიავმა ააშარაშურა ფოთლები დილის კოცნით...

ფრთა აწყვეტილი ბუნება მწვანე ქათიბს მხარზე იგდებს და ყაყაჩოს ღილებს იხსნის, რათა ცის ლურჯ სარკეში შეათამაშოს ლონიერი კუნთები...

მთის ცრემლი ბარად რუდ დაქანებული მოიკლაკნება ვერცხლის სირმად ველზე და მზეფეხია ლოთიანად უფაჩუნებს თავში მწვანე ნოლს, რომელსაც მარგალიტის მძივისავით აჰკინძვია ყელზე დილის ცვართა კრიალოსანი...

ყანები საოქროსთავოდ ბიბინებენ სანეტარო სალმუნით...

ვენახებს კვირტი აუყრიათ, საშემოდგომო აკიდოებისათვის..

# ნოე ჩხიკვაძის დაუბეჭდავი ლექსი*)

* * *

შენ ხარ ყვავილი სხივ-პკურებელი სიცოცხლის პირველ გაზაფხულისა
შენ ხარ ვარდ-გული აკოკრებული სამარადისო სიყვარულისა.

შენ ხარ ჩვენება სიყმაწვილისა ხორც-სხმულ ვენერათ მოვლინებული,
შ[e]ნ ხარ მერცხალი ყოფნის დილისა ციურ მუსიკით აღტყინებული,

შენ ხარ სიკეთე და სათნოება, სინათლე-მადლი გაუქრობელი,
შენ ხარ სიწმინდე-უმანკოება ცოდვილ მიწისთვის შეუცნობელი.

შენ ხარ უკვდავი მშვენიერება, შვება-სიამე, თვით სიხარული,—
ჩემი სრულ-ქმნილი ბედნიერება, ჩემი სიცოცხლე და სიყვარული.—

---

და ჰა, ეს გული, აწ შენი მონა, შენთვის სიამით აძგერებული,
სარკეა შენი სიყვარულისა, ზეციურ მადლით ამღერებული.

მიიღე, დასტკბი ნეტარებითა, და იხარებდე სულო-სულისა:
არ მოგეკაროს ტანჯვა-სიმწარე, არც შავი ხელი აღსასრულისა..

ნ. ჩხიკვაძე.

1915 წ. 7 მარტს.
სამტრედია.

*) ეს ლექსი მიძღვნილი ჰქონდა ავტორს დ. ხ—ის ასულისადმი.

---

ფრინველთა ჟრიამული გიჟი ხმაურით აღვიძებს მიდამოს...

ახალი ცხოვრებით ფაფარნაყარი სოფელი ზეიმს იხდის...

მინდვრით ატეხილი სურნელოვნება საამოდ ეფინება გაზაფხულის სილამაზით ასევადებულ აღმაფრენას...

სოფლის ნოყიერი თქმა მადლიანად იბერტყავს კალთებს...

თავისუფლების ურჩი ყიჟინა მარადიულ კოცონებს ანთებს...

საიდუმლო ჰაუზით საამკარაოდ სცემს სიცოცხლის შადრევანი...

აქოჩრილი მთები საკინძჩამოწყვეტილი ეარშიყებიან ხოდაბუნებს...

უკვდავი სიმღერით გაისმის აღმოდებული ჰიმნი..

წითელმუნჯა დროშების დარტყმა უაღვირო რაშებს ვერ იჭერს..,

სადღაც გაისმის შეტევაზე გადასვლის ბუკი...

მსოფლიო ტორტმანებს სამყაროს ჰენებით...

ზღვა, ბარბაშა ზვირთებს ნაპირებს ესვრის...

ურჩი რაზმები ჩირაღდნებით პატრუქს უკიდებენ, და, ნაღმი ასაყირავებლად ამზადებს მტერთა ბანაკს...

ქალაქის მაყრულზე სოფელი ყალყზე დგება, და ლურჯხალათიანის დაკოჟრილ ხელში აქნეულ ჩაქუჩზე აჯვარედინებს ნამგალს რომლის გვირგვინშიც იხატება ვარსკვლავი ხუთი ქიმით...

შრომის მეუფება შერკინებაში იწვევს ყველას...

II

სოფლის აღმასკომის წინ ხალხი შეყრილა.

— რაო, რაზე შევიყარენით, მიხა?

— რავიცი, აღმასკომის თავმჯდომარემ გვითხრა, და, ჩვენც მოვგროვდით.

— ალბად ახალი რამე თუა გამოსაცხადებელი!..

— იქნება ამ ჩვენს ტყეზე უნდა გვითხრას რამე, რომელიც ასე ჩანაგდება და ვერანდება ჩვენი დაუდევრობით, რის გამოდაც დიდი უბედურება მოელის ჩვენს სოფელს თუ არ გავუფრთხილდით?..

— რა ვიცი, იქნება.

არის ერთი ყაყანი, დავიდარაბა...

ზოგი მიწკომის შესახებ ლაპარაკობს, ზოგი სამკითხველოს შეკეთების შესახებ, და გაზეთების საკლუბლოვანებაზე, ზოგი ახალ გადასახადებზე, ზოგი კოოპერატივის ზარალზე, ზოგი კიდევ სარწყავ არხის გაყვანაზე, ჭაობების ამოშრობაზე, რომ მოისპოს ციებ-ცხელება და სხვა...

— რა სწერია მაგ გაზეთში?

ეკითხება მოხუცი ანდრია, მასწავლებელს, რომელიც წყაროს პირას ჩამომჯდარა და უკითხავს გლეხებს, უხსნის, უნმარტავს...

— ეს სასოფლო-სამეურნეო გაზეთია. აქაა დარიგებანი მიწის მუშებისათვის, თუ როგორ უნდა მოუარო ვენახს, ბოსტანს, მიწას და სხვა ხეს, მცენარეულობას, რომ ნამუშევარი უფრო ნაყოფიერი გამოდგეს და სახეირო.

— ეხლა ჩემო ანდრია, რაკი ჩვენმა მუშურგლეხურმა მთავრობამ ყველა მტრები დაამარცხა, აი როგორიც იყვნენ მეფე მინისტრებით, ღენერლები, პრიჰტავები, ტრაჟნიკები, თავადაზნაურები და სხვა; მიწები ჩვენ დაგვ[ურ]იგა, ქარხნები მუშებს, ყველგან სკოლები და კლუბები დაარსა, სინათლე და სწავლა შეაქვს მშრომელ ხალხში, ეხლა სამეურნეო დარგშიაც უნდა, რომ მოვღონიერდეთ, ვისწავლოთ უკეთესი შენება, მოვლა, ამიტომ მთელი ძალღონე და ყურადღება სოფლისაკენ არის მოქცეული. ქალაქებში რაც საუკეთესო ძალებია სოფლისაკენ სტყორცნიან, რომ ყოველმხრივ დაგვეხმარონ.

ჩაერია სოფლის ახალგაზრდა კომკავშირელი, ვანო.

— ეხლა იმიტომაა, რომ ყველგან გადასროლილია ლოზუნგი, მოწოდება: „პირი სოფლისკენ“.

განუმარტა წითელ ჯარში ნამყოფმა, გოგლამ.

— პირი რომ მუდამ დაუღიათ და ჩვენკენ აქვთ მაგ ქალაქელებსა, ეგა კარგა ხანია ვიცი; ხელი გამოგვიწოდონ, ხელი, დაგვეხმარონ: აი ჩითით, ნავთით, მარილით, მიტკლით, თორემა ი ჩემი დედაკაცი სულ დაძონძილი დადის და როცა გახუმრება მინდა ხოლმე, მებუტება; ახალი კაბა მიყიდე და მერე რაც გინდა ის მიყავიო, მაშა!..

წარმოსთქვა, სიცილით, ანდრიამ, და გვერძე გადაფურთხებით ჩიბუხი ქალამანის ჭვინტზე დაიბერტყა.

ასტყდა სიცილი...

— რა ვქნა, სად არის, აქამდის, თავმჯდომარე?

— საცაა ამოვა რაღა, დაბიდან. აგერა მოდის კიდეცა და! ვილაცეები მოსდევენ კიდევ. აბა, შვილო, ილა, გასწი და ი ცხენი ჩამოართვი; ოფლიანი იქნება და გაატარ-გამოატარე, თორემ დასცდის... ო, მერე და ულაყია და!.. მეორეებსაც ჩამოართვი.

გადასძახა, ბავშვს, კაკომ.

ილამ გაჰკურცხლა სიხარულით...

III

— რა ამბავიაო?

— რაა და, ახალგაზრდობას იწვევენ ჯარშიო.

შეიქნა ჩოჩქოლი...

— ალბად ომი თუა.

— ვისთანა?

— ამბობენ ფრანცუცმა გამოგვიცხადაო.

— არა ინგლისმაო.

— მე ისე გავიგე, გაღმა, გუშინ, რომ ამერიკამაო.

— თითქოს, პოლშამაო?

— ჰე, ტა-ტა! რა უნდათ ჩვენგანა იმ ჩემანალებსა?!

— არა, ამხანაგებო; მე გაზეთებს თვალყურს ვადევნებ და ამის ნიშნები არსად შემხვედრია. ჩვენი მთავრობა ისე გამოიცადა ამ ბრძოლებში და ისე მოღონიერდა ყოველისფრივ, რომ ომს ვერავინ გაგვიბედავს. ჩვენი წითელი არმია ფხიზლად იცავს საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის საზღვრებს.

ჩაერია ყოფილი წითელარმიელი, გოგლა.

— მაშ რათ უნდათ ამ ახალგაზრდებს რომ ეძახიან ჯარში?

ალაპარაკდა გაბო, და ჩამოჯდა ლატანზე.

— რა ვიცი, ე ჯარი გვყავს ყაზარმებშია, მაშინ გაიწვიეს და, მა რაღათ უნდათ?

უთუოდ ომია!

— მოვიცადოთ, ხალხო, და გავიგებთ ყველაფერს. აქ უთუოდ ახალი რამეა.

განაგრძობს ვანო.

აჭასობაში გამოვიდა ალმასკომის თავმჯდომარე, რომელსაც გამოჰყვნენ სამაზრო ქალაქში მდგომ ლეგიონის ერთერთი პოლიტხელი და ასეულის მეთაური.

ჩამოვარდა სიჩუმე.

— ამხანაგებო, ყველანი აქა ხართ?

შეეკითხა თავმჯდომარე.

— თითქმის ყველანი!

იყო პასუხი.

გაიხსნა კრება.

— კრებას გახსნილად ვაცხადებ. სიტყვა ეკუთვნის ამხანაგ ფხიზლაძეს.

განაცხადა თავმჯდომარემ.

— ამხანაგებო, მე წელან თქვენს ჩოჩქოლში გავიგონე სხვა და სხვა სიტყვები, ალბად ომია იმისათვის იწვევენ ახალგაზრდობასო და სხვა.. მე გეტყვით თუ რაშია საქმე.

განაცხადა პოლიტხელმა, რა მაღლობზე შესდგა.

მან დაიწყო იქიდან, თუ როგორ გაიმარჯვა საბჭოთა ხელისუფლებამ, კომპარტიის წინამძღოლობით, როგორი მიღწევები აქვს როგორც გარედ, ისე შიგნით, ოქტომბრის რევოლიუციიდან მოყოლებული დღევანდლამდე, და ეს გამარჯვებები ვისი იმედითაა დაცული..

— ეს არის წითელი არმია!

განაცხადა მან.

დაწვრილებით აღნიშნა და გადაშალა მისი ისტორიული ფურცლები, თუ როგორი იყო ის, წინად, თოფის ხმარებაში გაუწვრთნელი მუშებისაგან და გლეხებისაგან შემდგარი წითელი გვარდია, მერე როგორ გადაკეთდა წითელ, უძლიერეს არმიად, რომელმაც დაამარცხა ყველა მტრები, რომელთაც ძველი წესწყობილების აღდგენა უნდოდათ, რათა მუშებისთვის და გლეხობისათვის კვლავ დაედგათ მონობის უღელი, აღემართათ სახრჩობელები გაევსოთ მებრძოლებით ციხე-კატორღები და სხვა...

დაწვრილებით აღნიშნა თავგანწირვა წითელი არმიისა, რომელსაც ამაყად ეჭირა მაღლა წითელი დროშა; გაანთავისუფლა მრავალი პატარა ერები კაპიტალიზმის ბრჭყალებიდან, რომლის შიშითაც ეხლაც ძრწიან იმპერიალისტური ქვეყნების მთავრობები და რომელსაც სასოებით მოელიან იქაური მშრომელნი.

— მისი რიცხვი იყო ხუთი მილიონი, მისი ხარჯი აწვებოდა მშრომელ ხალხს.

განაგრძო მოსაუბრემ და აუხსნა, თუ რომ მშრომელთა მთავრობა როგორ სცდილობს მუშებისა და გლეხების გადასახადების შემსუბუქებაზე, რომ მან განიზრახა შეემცირებინა ჯარი ექვსასიათასამდე და ასე მოიქცა კიდეც. მან მიმართა მეზობელ სახელმწიფოებს, რათა მათაც შეემცირებინათ შეიარაღებული ძალები, მაგრამ მათ უარი სთქვეს. ჩვენს მთავრობას კი არ უნდა დიდი ჯარის ყოლა, არ უნდა მოაცდინოს მშვიდობიან შრომას, აღმშენებლობითი მუშაობას: გლეხობა გუთანს და მუშა დაზგას; მას სურს მშვიდობიანობა, მაგრამ უცხო სახელმწიფოები არ აძლევენ ამის საშუალებას...

— ომი არაა, მაგრამ ომის საფრთხე მუდამ არის, ვიდრე გარს გვახვევია ბურჟუაზიული სახელმწიფოები.

განაგრძობდა კვლავ პოლიტხელი, და აქ აუხსნა თუ რატომა გვმტრობენ ისინი.

— მთელი მსოფლიოს მეექვსედ ნაწილზედ გადაჭიმულია საბჭოთა რესპუბლიკების კავშირი, რომლის სათავეშიც მუშა ხალხია და თავისთავის პატრონი; ეს კი მოსვენებას არ აძლევს სხვა სახელმწიფოებს, რადგანაც, იქ, ჯერ კიდევ მეფეები, ბურჟუები და თავადაზნაურები არიან მბრძანებელნი. მათ ეშინიანთ, რომ ჩვენი მაგალითის შემყურე მათი ქვეყნების მუშებმა და გლეხებმა არ მოგვბაძონ და არ გაანიავონ ისინი. ასეთი სახელმწიფო, როგორიც ჩვენია, ისტორიაში პირველია... ისინი ვერ ურიგდებიან ამას; მათ იციან, რომ ჩვენი თანაგრძნობა მათი მშრომელებისკენაა, მათ იციან რომ თუ იქ რევოლიუცია მოხდა, ჩვენც დავეხმარებით და, ამიტომაა, რომ მუდამდღე ჩვენზე ჰყრიან ცოფს, ჩვენზე ამხედრებენ საზოგადოებრივ აზრს, ათასნაირი ჭორებით, და თუ არა ჩვენი წითელი არმიის სიძლიერე— ისინი შემოგვიტევენ და წაგვლეკავენ დედამიწიდან. მაშინ—კი, თქვენ უკვე იცით გამოცდილებით, თუ რა მოგელით: კვლავ ძველი დრო, მონობა, უმიწაწყლობა, შიმშილი, სიტიტვლე...

— აი ვაცხონე მამაშენი! მესმის ეხლა.

ჩაერია, ანდრია, გახარებული.

— ნუ უშლი, ანდრიავ.

გააფრთხილა თავმჯდომარემ.

— მაშ იმიტომ ეძახით ამ ჩვენ ჯეელებს, რომ ისევ გაადიდოთ, რიცხვით, ჯარი?

იკითხა ნინიკამ.

— არა, მაგისთვის არა.

ეუბნება პოლიტხელი.

— მაშა?

— აი, გეტყვით..

და დაიწყო.

IV

— მერე, მერე?

— ჰო, და ჩვენმა მთავრობამ გადასწყვიტა საერთო სამხედრო სწავლების შემოღება; ვინც სამხედრო გაწვევის ჰასაკშია მოსული, ყველამ უნდაა იცოდეს იარაღის ხმარება, ისე რომ მუდმივად კი არ იყოს ყაზარმაში, რამოდენიმე წლით, არამედ ხუთი წლის განმავლობაში, ყოველწლივ ერთ ან ორ თვეს, რომლის შემდეგაც ყველა უბრუნდება თავის პირდაპირ სამუშაოს.

ხალხი სულგანაბული უსმენს. ის შეეჩვია კომუნისტებისაგან ახალ-ახალ გამოგონებებს და ეხლაც ელის რაღაცა ახალს..

დიდხანს ილაპარაკა კიდევ პოლიტხელმა, რომლის შემდეგაც მეთაურმა დაიწყო:

— როგორც ამხანაგმა პოლიტხელმა გითხრათ და აგიხსნათ, თუ რისთვის გეძახიან ჯარში, მე მგონია ყველა მიხვდით. ეხლა სდგება ახალი დივიზია, რომელსაც ჰქვიან ტერიტორიალური.

— ე ტეტორია რაღაა?

შეეკითხა ლუკაანთ გაბო.

— ტეტორია კი არა ტერიტორია, უცხო სიტყვაა, ესე იგი რომელიმე მხარე, მაზრა, გუბერნია და სხვა, აი მაგალითად ჩვენი მხარე. აქაური ახალგაზრდები სადმე შორის, ქალაქში კი არ წავლენ სასამსახუროდ, არამედ აქვე, ჩვენს დაბაში შეიკრიბებიან და შეისწავლიან ყველაფერს, როგორც საქმეს, ისე პოლიტიკურსა და კულტურულ ცოდნას... ფაბრიკა ქარხნებს მუშები ისწავლიან იქვე, ქალაქში, სამაზრო ქალაქთან მყოფი ახალგაზრ-

# სამშობლო...

(ზოგიერთებს)

თქვენ მუდა პირზე ეს გაკერიათ:
სამშობლო, დედა, ქართველი ერი,
მაგრამ სამშობლოს და ქართველ ერსაც
თქვენზე სასტიკი არა ყავს მტერი.

***

რა გაუკეთეთ თქვენ ამ სამშობლოს
ქართველ გლეხებს, ან ქართველ მუშებს?
თქვენ მიაყენეთ მხოლოდ ჭრილობა
რომელსაც დიდხანს ვერ მოიშუშებს...

***

და მაინც კიდევ ფარისევლურათ
პირს გაკერიათ: „ერი და ერი",
ფარისეველნო! თქვენ უკვე მოკვდით
და თქვენს საფლავზე მეც ასე მღერი:

***

„დიახ მეც მიყვარს ჩემი ქვეყანა,
ჩემი სამშობლო... და ჩემი ერი,
მხოლოდ სამშობლო მუშურ-გლეხური
წითელი, ტურფა და მშვენიერი.

***

და თუ მოითხოვს საჭიროება,
წითელ მსხვერპლადაც შევეწირები,
ოღონდ კი, ქართველ მუშებს და გლეხებს,
თავს ავაშორე გასაჭირები.

***

და უკანასკნელ სიკვდილის წუთშიც,
მეხუჭებოდეს ოდეს თვალები,
მაშინაც ვიტყვი: „სამშობლოს წითელს
თავს შემოვევლე, ვენაცვალები!"

დ. გორდაძე.

დობა მივლენ სამაზრო ქალაქში და სხვა. ნაწილები დაარსებულია ადგილობრივ. ზოგიერთ ადგილას უკვე გაწვეული არიან და აქ კი ხვალიდან შეუდგებით მოკრებას.

— მუდმივი ჯარი რომაა?

შეეკითხა ნინიკა.

— მუდმივი ცოტა დარჩება, ჯერჯერობით, და თუ ეს ახალი სისტემა უკეთესი გამოდგება, მაშინ ჩვენი ჯარი სულ ამ ახალ ყაიდაზე აშენდება.

თქვენ იცით, ამხანაგებო, რომ თვრამეტ წლიდან შემოღებულია საერთო სწავლება, აი წვევამდელებს, რომ ეძახიან, ამის შემდეგ იგინი გადიან სწავლას, უკვე სამხედრო სამსახურის ჰასაკს მიღწეულნი, ტერიტორიალურ ნაწილებში.

აგრეთვე უნდა იცოდეთ, რომ ეხლა თუ ომები დაიწყო, იგი არ ეგვანება წინანდელ ომებს. ეხლა ჩვენი მტრები ყოველდღე აძლიერებენ სხვა და სხვა მმუსვრელ იარაღს. ეხლა ბრძოლები იქნება ჰაერიდან და მხრჩოლავ აირებით, გაზებით, რომლის გაძლიერებაზე და სწავლაზე ჩვენც უნდა ვიზრუნოთ. ამის ცოდნა ყველამ უნდა შეიძინოს, რადგანაც უწინდებურად მხოლოდ ბრძოლის ველი კი არა სწყვეტს ომის ბედს, არამედ ეხლა ზურგსაც მიცა მნიშვნელობა. ჩვენზე იერიშით წამოსული მტერი ეცდება ჩვენს ბრძოლად გასულ ჯარს აეროპლანებით ზურგში მოექცეს, აწიოკოს მოსახლეობა, გაზებით გატენილი ყუმბარები ესროლოს, ააფეთქოს ხიდები, გზები, არსენალები, იარაღის და პურის, ტანისამოსის საწყობები და მოსწყვიტოს ჯარი მთავარ საკვებს, მოაახლოვოს ჩვენი დამარცხება.

ჩვენ უნდა ვისწავლოთ თუ როგორ უნდა დაუხვდეთ მას და როგორ უნდა უკუვაგდოთ. ყველაფერ ამას კი ჩვენი ახალგაზრდობა ისწავლის ამ ახალ დივიზიაში. იქ იქნება მხოლოდ ორ თვეს, რომლის შემდეგაც ის უბრუნდება თავის ოჯახს, მიწერილი კი რჩება თავის ნაწილზე რათა, თუ საჭიროება მოითხოვს, პირველ დაძახებისთანავე გამოცხადდეს ლეგიონში.

ხალხი დაფიქრდა. მოეწონა ნალაპარაკევი. მოწონების ნიშნად ტაშს უკრავს, ახალ დაწყებას გამარჯვებას უსურვებს... მსჯელობენ ერთმანეთში; თავიანთი გლეხური შეგნებით უდგებიან ამ საკითხს.

— ჩვენს გლეხს უნდა აუხსნა, უნდა მაგალითებით დაუმტკიცოთ, რომ დაგიჯეროს, გამოგყვეს...

ეუბნება ალმასკომის თავმჯდომარე პოლიტჭელს და მეთაურს.

ქარმა იალქნები აუშვა...

მზე ღრუბლების ქარავანებმა მოიმწყვდიეს...

ცის ტატნობს ელვა გადაეკლაკნა გველივით და იქუხა...

წვიმამ ცრა იწყო...

— ამხანაგებო, რადგანაც რამოდენიმე შინაური საქმეები კიდევა გვაქვს გასარჩევი და გარედ კი წვიმა დაიწყო, შევიდეთ ჩვენს კლუბში და იქ გავარჩიოთ.

განაცხადა თავმჯდომარემ.

— ჰაი-ჰაი, რომ ემჯობინება.

დაეთანხმა ვილაც.

(დასასრული იქნება)

საფო მგელაძე.

# ბახ-მარო

(პოემა-ლეგენდა)

ზაფხულია, ნაძვნარში ვართ
ხის ჯირკვებზე ჩამომჯდარი
ყნოსვას ატკბობს ფიჭვის სუნი
და გულს ალხენს თბილი დარი.
მოლიკლიკე წმინდა წყაროს
პიტალო კლდე გაუბზარავს
მზის სხივებზე ვერცხლებრ ბრწყინავს,
თვალს იტაცებს, სულსა გპარავს.
აზიდული მთა გორები
თოვლის ზვინებს დაუფარავს,
სადაც ბინა უპოვნია,
ცხვრის ფარას და მწყემსის კარავს.
მაღლობზე ვართ, ბარს გავსცქერით,
მხიარულად ვლაზღანდარობთ,
ლურჯ ეთერში გახვეულნი
ჰცეკვავთ, ვმღერით, ვკელქობთ, ვხარობთ!..
აქ ოცნება ფრთას აიხამს
რა კავშირი ბართან სწყდება
და ცხოვრების სიდუხჭირე
წუთით მაინც გავიწყდება!
ჩვენც შევეტკბეთ ახალ ადგილს,
შევისწავლეთ, გავეცანით
და ბუნებას, ლალ ბუნებას
ჩავექსოვეთ, ჩავეწანით!
შევერიეთ ბუჩქს და ჩირგვებს
ავხმაურდით, ავბაასდით,
აველევნეთ ყვავილთ წყებას
და ტყის ნახევ ბილიკს ავსცდით.
აი აგერ კოხტა ჭაბუკს
მოუგდია თავზე ქუდი
და ასულებს ეპარება
ფეხ აკრეფით, როგორც ქურდი.
ჰა, მივიდა თვის რჩეულთან
შეაძახა, შეაშინა
აედევნა გაეშ.სხრა,
გაახარა, გააცინა.
რაღაც ყურში ჩასჩურჩულა
ქალი გასწყრა, გაუჯავრდა
და ლამაზი მთის ყვავილი
მას ხელიდან დაუვარდა.
დასწვდა ვაჟი, ატიცა,
„რად შეკრთიო„? ჰკითხა ესა.
„არ გაჯავრდე თორემ აი
ჩივასკდები ამ ბასრ კლდესა“.
ამ სიტყვებით თეთრი ბლონდი
ჩოახვია ლამაზ პირზე
და თვითონ კი ჩაღალ ბუჩქნარს
მოეფარა კლდის ნაპირზე.
შეეშინდა ტურფა ქალსაც
—„ახ, არა“-ო! მიაძახა;
და პასუხად შემოესმა
მხიარული: ხა, ხა, ხა, ხა!.
წინ მოხუცი მიგვიძღვება
მჭერმეტყველი, დინჯი, ზრდილი,
აქ, ამ მთაში ბავშობიდან
გამოწრთვნილი, გამოზრდილი.
ყველა ჩვენგანს უყვარს მისი
მხიარული ლაპარაკი,
ხან ამბები ძველის ძველი
ხან ლექსები, ხან არაკი.
ყველა მისკენ მივიჩქარით
ყველას გვინდა უგდოთ ყური
თუმცა ხშირად გვიჯავრდება
ქართველია ძველებური.
მაგალითად თუ რომ ვინმე
ქართულად არ იბაასა,
ლაპარაკით ანუ ქცევით
უცხო ტომთ შვილს დაემსგავსა,
მაშინ სჭექს და ჰქუხს მოხუცი
გვეუბნება: „რას გვეხართო,
ნუ თუ თქვენ იმ სახელოვან
წინაპრების შვილნი ხართ“-ო?
და მოყვება დარიგებას
არც კი კვითხავს გვსურს თუ არა,
ჯერ მოუსმენთ, თუ გაგრძელდა
გეუბნებით: გვეყოს, კმარა!..
აი ეხლაც ამ ადგილზე
ყველა ერთად შეგვიპირა
მთის მწვერვალზე ავედითო
აიჩემა, აიხირა.
გვეუბნება: აიხედეთ
მზე რა რიგად გადიხარა
მოვემზადოთ და ამ აღმართს
ავყვეთ მარდათ, ავყვეთ ჩქარა!
გესმით სულ მთლად დაღამდება,
თუ რომ კიდევ შევიცადეთ,
სიდიადე მზის ჩასვლისა
ერთხელ მაინც განიცადეთ.
დავეთანხმეთ, წამოვდექით
აუდექით მთის ბილიკებს,
სად რუები, მთის რუები,
მოჩუხჩუხებს, მოლიკლიკებს!
ვარდ-ყვავილებს აგრე ნაზად
მათ ნაპირზე რომ იზრდება,
ეგ რუები დედა მიწის
საიდუმლოს ეუბნება!
მაგრამ მისთვის ვის სცალია?
მივისწრაფვით მაღლა, მაღლა!
ვერსი ვერსზე ავიარეთ

არც გვიგრძნია ერთხელ დაღლა!
ჰაა, კიდეც მივაღწიეთ
მაღალსა და ამაყ მთაზე
თეთრს რბილ ნისლში გავეხვიეთ
და ღრუბლებიც გვცურავს თავზე!
და გგონია შენი თავი
ნათელ მზესთან ისე ახლო,
რომ გსურს ფეხის წვერზე შესდგე
და ამ ღრუბლებს ხელი ახლო!
ერთი ამბობს: ჰო, ბახ-მარო
ეგ სავანე მზის და მთვარის
როგორ მიყვარს და არც მჯერა
მსგავსი მისი სადმე არის.
ბარში შრომით დაქანცული
როცა სნეულს ვედარები,
ზაფხულობით ამ მთის კალთებს
სამკურნალოთ ვებარები
დარდს თავს ვ ღწევ, სევდა-ჯავრი,
როგორც ნისლი ისე ჰქრება
მთის ყვავილი სუნით მილხენს
მთის ნიავი მეფერება!
მას ჭაბუკმა უპასუხა:
ვის არ მოსწონს ეგ ბახ-მარო
მთები, წყლები, ნაძვ-ფიჭნარი
გურიელის ცივი წყარო!
აკიდული ზოტის ყელი[1]
და ფაფარა[2] მედიდური
საყორნია[3], თეთრი ბლონდით,
საოცნებოთ დანაბური,
ბაისურა[4], ბუქსიეთი[5],
გადოეკილი[6], ჩაღუნული,
საომლია[7] და სხვა მთებიც
ერთმანეთზე გადაწნული!
დაბლა მოსჩანს ვაკი-ჯვარი**)
ეგ გურიის ტურფა თვალი
ერკბლის ლენტად დაფენილი
მოდუდუნე ბახვის წყალი.
თვალ უწვდენელ მაღალ კლდიდან
მოწყვეტილი ნაკადული,
ცის სივრციდან მთის მწვერვალზე
მთვარე ჭაღად დაკიდული!
საიდუმლოთ მოციალე,
მოელვარე, ნაზი მკრთალი,
საოცნებო ოქროს ბურთი
ზეცის შვილი, ზეცის თვალი.
ეგ ბუნება მანეტარებს,
ეგ ჰაერი მკურნავს მეცა,
სთქვა და იქვე ბალახებში
არხეინად წოიკეცა.
მოხუცმა სთქვა „აიხედეთ
ღრუბლებმა მზე ვით დაფარა
ველარ უცქერთ დღეს მზის ჩასვლას,
მოსვლაც ტყვილად გაგვიარა.
მზე ბნელდება და ღრუბლებიც
აღარ ვფიქრობ გადასცურდეს,
დახეთ, ბარსაც გადაწვა
თითქო მისი შთანთქვა სურდეს.
და ინატრა: ნეტავ ეხლა
ჩიტი ვიყო ფრთა გავშალო
იმ ღრუბლებში ჩავერიო
გავფანტო და გადავშალო,
მაგრამ ეს ხომ ოცნებაა
უძლური ხარ ჩემო თაო,
ისევა სჯობს, რომ ლეგენდა
დავიწყო და დავათაო.
ყმაწვილებო, ყველას მოგწონს
ნაძვ-ფიჭნარი, ცივი წყარო
მაგრამ ვფიქრობ არც კი იცით
რასთვის ქვია მას ბახ-მარო?!
გადმოცემას მოგიყვებით
თუ ჯერ აქ არ მოგეწყინათ
და თუ ჩემსა საუბარში
აქავე არ ჩეგეძინათ.
სახუმარო შენიშვნაზე
მხიარულად გაგვეცინა,
მსწრაფლ თანხმობა განუცხადეთ
დაუჯექით იქვე წინა!..

(დასასრული იქნება).

*) 1, 2, 3, 4, 5, 6, 7. მთები, რომელიც ბახ-მაროს გარს არტყია.

**) სოფელი ბახ-მაროს ძირში

# კოწია ქედიანელი

(მოთხრობა)

## I გაცრუებული იმედი.

იწვის ქედიანის ოდები, წვითა და დაგვით ნაშენები, თავიანთ პატრონის თვალწინ, რომელნიც თვალცრემლიანი შესცქერიან მათი ქონების გამნადგურებელ და შთამნთქმელ გამძვინვარებულ ცეცხლს...

— ღვთის რისხვა მოგვევლინა, ღვთის რისხვა!—ამბობდნენ უსახლკაროდ დარჩენილი ქედიანელები, რომელთაც ცეცხლში დაეღუპათ მთელი ქონება, რაც კი გაჩნდათ.

ქედიანელები ფიქრობდნენ, რომ ჩვენი სოფელი მიგდებულია და ჩვენამდე ვერ მოაღწევენ მეფის ჯალათებიო, მაგრამ ეს იმედი გაუცრუვდათ მათ და ისინიც ამ ჯალათების მსხვერპლნი შეიქნენ.

გამხეცებული ყაზახები დარბოდნენ სოფელ-სოფელ, სჩხრიკდნენ ოდებს, ეძებდნენ ფულს, ქალებს და, ვინც დამალვა ვერ მოასწრო, ყველა მათი მსხვერპლი შეიქნა...

არავის ჰქონდა დანდობა—არც ხნიერ დედაკაცებს, არც მოზარდებს, არც ქმრიან ქალებს, არც გასათხოვრებს, მათთვის სუყველა ერთი იყო.

პირველი მსხვერპლი ქედიანში შემოსეულ ჯალათებისა შეიქნა ყოვლად პატიოსანი, გულკეთილობით განთქმული და მთელი სოფლის საყვარელი მოხუცი პავლე, რომელსაც მათრახების ცემით ამოჰხადეს სული, და მისი პატარა ქალი ნინო, რომელიც შევარდა უზარმაზარ კოცონში და გმირულად დაიღუპა, რათა ჯალათებს არ ჩავარდნოდა იგი ხელში,

## II კოწიას აღთქმა.

გუგუნებს ცეცხლში გახვეული პავლეს ოდა. ცეცხლის გუგუნს უერთდება ყაზახთა სიცილ-ხარხარი, ღრიანცელი.

დარეტიანებული კოწია გდია თავის უსულოდ მდებარე მამასთან.

მას ესმის ყველაფერი.

ესმის როგორ დაჰქვითინებს პატარა ნინო:

— კოწია! კოწია! ხმა გამეცი, გენაცვალე!

ესმის როგორ დასცინიან მას ყაზახები.

ბოლოს ესმის, როგორ შესძახებს ნინო „თქვენს ხელში ყოფნას, ცეცხლში დაწვა მირჩევნიაო“ და გადაეშვება ცეცხლის ზღვაში...

— გათავდა!—გაიფიქრა მან და კმაყოფილი დარჩა ნინოს ასეთი თავის გაწირვით, ასეთი გმირობით...

გდია უძრავად და ფიქრობს—წამოხტეს უცბად, დაავლოს თოფს ხელი და ერთი ორი ჯალათთაგანი გამოასალმოს სიცოცხლეს და თითონაც დაიღუპოს, თუ უცადოს მარჯვე დროს, გაიპაროს აქედან და მამისა და დის მაგიერ შური იძიოს?

ისევ ბოლო არჩია.

— ერთი-ორისთვის თავის გაწირვა არ ღირს,—იფიქრა მან,—თუა, ცოტა ბარაქიანად იყოს, ათი-თორმეტი მაინც უნდა გავისტუმრო საიქიოს, ამაზე ადრე კი მე არ მოკვდები...

— ბიჭებო, ბიჭებო, მოდით ნახეთ, სამი სახლი ერთად იწვის!—დაიძახა ერთმა ყაზახმა და პავლეს ოდასთან თავმოყრილი ყაზახები ყველანი გაეშურნენ სეირის საყურებლად, გარდა ერთისა, რომელიც იქ დაწყობილ თოფებისა და ცხენების ყარაულად დარჩა.

— კაი დროა,—გაიფიქრა კოწიამ, წამოდგა ჩუმად, დაავლო ერთ-ერთ თოფს ხელი, სდრუზა თავში კონდახი მისკენ ზურგით მდგომ ყაზახს და იქვე სული გააფრთხობინა.

ცეცხლწაკიდებული ოდა უკვე სულ გადაიწვა, ჩაქრობას ლამოდა.

— მშვიდობით, ძვირფასო მამავ; მშვიდობით, ჩემო პატარა გმირო, უსამართლობის მსხვერპლნო! გადავუხდი სამაგიეროს მას, ვინც ჩვენ გაგვწირა, ვინც ასე გაგიმწარათ სიცოცხლე და ვისი მიზეზითაც დაიღუპეთ! მშვიდობით!—მხურვალედ გამოეთხოვა მამას და დას, მოახტა ყაზახის ცხენს და შეუდგა რაჭისკენ მიმავალ ბილიკებს, რომ იქ ცოტა მოისვენოს, გატეხილი თავი მოირჩინოს და მერე ისევ დაიწყოს ბრძოლა გამეფებულ უსამართლობის წინააღმდეგ...

## III მკვდარს ცოცხალი მოუკლავს.

როდესაც ყაზახები დაბრუნდნენ, ძალიან გაუკვირდათ, რომ „მკვდარი“ კოწია იქ აღარ დახვდათ და ყარაული კი თავგაჩეხილი უსულოდ ეგდო.

— ეს რა ამბავია?—იკითხა ერთმა ყაზახმა.

— რაღა რა ამბავია, მკვდარს ცოცხალი მოუკლავს და თითონაც წასულა!—მიუგო მეორემ.

— მდევარი სწრაფად!—ბრძანა რაზმის უფროსმა და ათი ყაზახი სწრაფად დაედევნა გაქცეულს საურმე გზით.

ორი საათის უნაყოფო დევნა-ძებნის შემდეგ უკან დაბრუნდნენ.

— ათმა კაცმა ერთი ვერ დაიჭირეთ?—ბრაზით ჰკითხა უფროსმა.

— კარგა მანძილი გავიარეთ, კარგად ვეძებეთ, მაგრამ ვერაფერი აღმოვაჩინეთ; იქნება აქ სადმეა დამალული?—იკითხა ერთმა მდევართაგანმა.

— ის არც ისე სულელია, რომ აქ ახლო გაჩერდეს სადმე...

— ეე, ბატონებო, თავისი იარაღიც თან წაუღია!—წამოიძახა ერთმა.

— თეთრ თავიანი ცხენი არ არის!—წამოიძახა მეორემ.

— მაშ ფეხით ხომ არ წაბრძანდებოდა ბატონი ბრიკაძე ამ მთა-კლდეებში!—სთქვა ჩოფურამ:—იმ პირტიტველა ბიჭმა ორჯელ გაგვაცურა ყინულზე, ალბად მესამედაც მოგვატყუებს, ან რაღაცას აგვიტეხავს, მისგან ყველაფერი მოსალოდნელია..

— ყოჩაღ ბრიკაძე!—წარმოსთქვა ერთმა.

—ღმერთმანი ყოჩაღია!--სთქვა უფროსმა:—მაგისთანა ადამიანს მე ყოველთვის პატივს ვცემ...

— და პატივსაცემიც არის!—წრფელი გულით წარმოსთქვა ჩოფურამ.—მე იმაზე არც შურს ვიძიებ, არც ხმას გავცემ სამტროდ; ყველგან და ყველასთან მეგობრულად შევხვდები...

— ჩუმად, მოღალატევ!—შეუტია უფროსმა:—შენ გავიწყდება, რომ ის ჩვენი მტერია, ჩვენ გვებრძვის და თავის სიმარჯვით არა ერთი ყაზახი გაუსტუმრებია საიქიოს!..

ჩოფურამ წყენით შეხედა და არაფერი სთქვა.

## IV ცრუ ავადმყოფი.

როდესაც ქედიანს მოუახლოვდნენ ყაზახები, ამ სოფელში, პავლეს ოჯახში შეხიზნული ქალი, რომელსაც უკვე განეცადა მეფის ყაზახების შესევის ამბავი, მდინარეში გადავარდა და თავი დაიხრჩო, რომ ყაზახებს არ ჩავარდნოდა ხელში, პავლეს კი დაუტოვა ერთი წლის ძუძუმწოვარა ლაზარე...

— ვაიმე, ვაიმე, საბრალო ქეთევანი!—ამბობდა თვალცრემლიანი პავლე:—ძუძუმწოვარას რაღა ეშველება?..

— ნუ სტირი, პავლე, ბავშვისა ნუ გედარდება;—ანუგეშებდა მოხუცი კვირიკა;—სხვა თუ არავინაა, ჩემი რძალი ხომ აქ არის, როგორც იქნება გამოვზრდით მაგ ობოლ ბავშვს... შენ ქე იცი, ჩემო პავლე, რა გულკეთილი ადამიანია ჩემი რძალი ფაცია, და მეც, ვიდრე ცოცხალი ვარ, პაწია ლაზარეს არ ვაგრძნობინებ ობლობას...

— კი, ჩემო კვირიკა, ვიცი შენი ამბავი და ძალიანაც მახარებს შენი გულკეთილობა, მარა ის რომ დაიხრჩო თავის შიშით, იგი კი ძრიელ მაწუხებს...

— აწი რას უშველი? შეწუხებით მხოლოდ თავს შეიწუხებ და სხვა არაფერი!—უთხრა კვირიკამ, დაავლო ბავშვს ხელი და ფაციას მიუყვანა.

— ფაცია, ბიჭი მოგიყვანე!—მხიარულად მისძახა კვირიკამ რძალს.

— მომიყვა, მომიყვა, მიხარიან მაგ ბიჭის ნახვა!—არა ნაკლებ მხიარულად გამოეგება ფაცია და ობოლი ლაზარე კოცნით გულში ჩაიკრა.

— როგორაა დედა მისი?—იკითხა ფაციამ.

— დედა მისი აღარაა ამ ქვეყნად, აწი შენ უნდა გაუწიო დედობა ამ ობოლ ბავშვს...

— რა დაემართა?!

— რა და ის, რომ ყაზახებს არ ჩაუვარდე ხელშიო, მათი შიშით მდინარეში თავი დაიხრჩო...

— უბედური დედაკაცი!—ნაღვლიანად წამოსთქვა ფაციამ და მწარედ დაღონდა.

— ფაცია, ფიქრის დრო არ არის, ახლავე ლოგინი გაშალე, თავი მოიავადმყოფე და ჩაწექი შიგ; საცაა ყაზახები შემოვლენ სოფელში და, ვინ იცის, რა მოხდეს!

— ღმერთო შომკალი!—წამოიძახა ფაციამ და ციბრუტივით დატრიალდა.

ერთ წამში ლოგინი უკვე გაშლილი იყო და ფაციაც შიგ იწვა.

კვირიკამ გამონახა რეცეპტიანი წამლის შუშა, შიგ წყალი ჩაასხა და გვერდზე მოუდგა, შუბლზე კი სველი ტილო დაადო „ავადმყოფ“ ფაციას.

— როცა ვინმე შემოვიდეს, კვნესა დაიწყე, ვითომ სატკივარი გაწუხებს,—უთხრა კვირიკამ და ბავშვებიც გვერდზე მოუსვა.

პატარა ლაზარე არხეინად იჯდა დედობილის გვერდზე და თავის ტოლ ძმობილ დათიას ეთამაშებოდა. მას არაფერი ესმოდა, არ იცოდა, თუ რა ტრაგედია გამოიარა მისმა უბედურმა დედამ და როგორ დაიღუპა.

**მუშა ნიკო ახლამაზაშვილი.**

(შემდეგი იქნება)

# ასეთია რევოლიუციის განაჩენი

ე ს კ ი ზ ი

შემოდგომის შუადღე იყო.

მინელებული მზე მკრთალად ანათებდა ნაცრისფერ ცაიდან.

— წკაპ!—სწყდებოდნენ თბილისის ქუჩის ნაპირებზე ჩამწკრივებულ ხეებს შეყვითლებული ფოთლები და ტოტიდან ჩამოფრენილ ბეღურებივით ეშვებოდენ ძირს.

მე მიყვარს ასეთ დროს დაყურსებულ ბაღებში კენტად ხეტიალი.

შორს არ წავსულვარ:

კამოს სახელობის პატარა ბაღში შევიარე. შევჩერდი.

კამოს ძეგლმა მთელი ჩვენი რევოლიუციონური წარსული გადამიშალა თვალწინ.

— ეჰ, ვინ მოსთვლის რამდენი გულანთებული ამხანაგი ჩაჰქრა ცხოვრების წყვდიად ღამეში მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის დანთებულ ბრძოლის ალმურში!—წავიჩურჩულე ჩემთვის და ფიქრებს გავყევი.

იქვე მახლობლად, ერთ-ერთ გრძელ სკამზე, სხვათა შორის ერთი შუახნის გამხდარი კაცი იჯდა.

თუმცა დაკონკილი ჩოხა ეცვა, თავზედაც გაფხეკილი ტყავის ქუდი ეხურა, მაგრამ მამაპაპეულ ქარქაშ-გაცვეთილ ხანჯალს მაინც ვერ შელეოდა, წელზე დაეკიდნა და ხელში კრიალოსანს ათამაშებდა.

— ვა, კნიაზჯან, გამარჯობა შენი!—პირზე ვაჭრული ღიმილით მიესალმა ბაღში ახლად შემოსული მისივე ხნოვანობის დაბალი კაცი, რომელსაც ჰუჰყისაგან გაქონილ მოკლე ახალუხზე საშემოდგომო ძველი პალტო ეცვა, თავზე „კიზიროკიანი“ ქუდი ეხურა და ხელში ქოლგა ეჭირა.

— ოო, მიკიჩ მიკირტიჩს ვახლავარ! საიდან, როგორ?—შეეკითხა გაფხეკილ ჩოხიანი და გვერდზე მჯდომ მეზობლისაკენ მიიწია თავისი ნაცნობისათვის ადგილის დასაცლელად.

— ვა, როგორ თუ საიდან, კნიზჯან, მე ხომ აქაური ვარ, ტიფლისკი პოჩოტნი ღრაჟდანინ მიკიჩ მიკირტიჩ პარონ ტერ-ასტვაცატუროვ!

— კარგია ერთი, მამა ნუ წაგიწყდება... დაბრძანდი...

— კნიაზჯან, შენ თითონ რა გინდა ამ შემოდგომაზე ტფილისში, ეხლა ხომ გაჩაღებული რთველია სოფელში?

— ხე-ხე ხე-ხე ხე!—უსიამოვნოთ ჩაიხითხითა ნათავადარმა და განაგრძო—ეეჰ, ჩემო მიკიჩ მიკირტიჩ, აი რას ნიშნავს მე და შენ რომ ათი წლის განმავლობაში აღარ შევხვედრივართ ერთიმეორეს.

— ვა, რა იყო კნიაზ, რა მოხდა, რა დაგემართა?

— ეჰ, რაღა არ დამემართა, ჩემო მიკიჩ მიკირტიჩ, ერთი წისქვილის ქვა არ დატრიალებულა ჩემს თავზე, თორემ სხვა ყველაფერი გადამხდა.

— მაინც რა, კნიაზჯან? უბედურება შეგემთხვა რამე?

— ეჰ, შენს მტერსა და დუშმანს, რაც მე თავს დამატყდა.

— ვა, კაცი შემოგაკვდა, კნიაზჯან?!

— არა.

— კარტში წააგე რამე?

— არა.
— მოგიკვდა ვინმე?
— არა.
— ავათა ხარ?
— არა.
— საქეიფოდ ჩამოხვედი?
— არა.
— ვა, სთქვი და, შე მამა სულგანათლებულო, სოფლიდან გამოგაგდეს?
— გამომაგდეს და ეგრე? სულ ლობეებზე მახტუნავეს იმ ლორის ტოლებმა.
— იმენიაც წაგართვეს, კნიაზჯან?
— იმენიას ვინა სჩივის, სული რომ შემარჩინეს ისიც მიკვირს.
— მახლას, რაც მოხდა, მოხდა, კნიაზჯან, შენ კარგათ იყავი და...
— ეჰ, მეტი რა გზა მაქვს, ჩემო ძმაო.
— ჰაიგიდი დროებავ! კნიაზჯან, გახსოვს ერთხელ მე და შენ ორთაჭალის ბაღებში გათენებამდის ვიქეიფეთ? რა გინდა სულო და გულო რომ იქ არ იყო: ცოცხალი თევზი, შუშა კიტრი, კარგი მოთალი, ბასტურმის მწვადები, ლამაზი გოგოები, ტკბილი დუდუკი და იფ!..
— ეეჰ, მიკიჩ მიკირტიჩ, შენ ძველზე კი ნუ მელაპარაკები, ახლისა სთქვი რამე, ახლისა.
— ვა, კნიაზჯან, არც ახალი იყოს და აღარც ძველი გავიხსენოთ? მაშ, გულის ჭიას რით უნდა ვისიამოვნოთ?
— ეგ სიამოვნება კი არა, უსიამოვნო ნერწყვის ყლაპვაა და მეტი არაფერი.
— ნუ ჩტოჟე, უნდა ვილაპარაკოთ, მაშ რა ვქნათ, კნიაზჯან.
— რაში მელაპარაკება, თუ ღმერთი გწამს, დღეს ერთი ლუკმა პურიც არ ჩამიდვია პირში.
— ჰაიგიდი, რა კარგი პურის ჭამა იცოდი ხოლმე, კნიაზჯან. გახსოვს ბაბაჭუას თეთრ დუქანში...
— რა ვქნა, რა საღერღელს მიშლი, გუნებაში ხომ არა გაქვს რა?
— ჰე ჰე-ჰე-ჰე-ჰე, ძალიანა გშიან კნიაზჯან?
— გეუბნები, ლუკმა პური არ ჩამიდვიამეთქი პირში.
— საათის რამდენია, კნიაზჯან?
— სამის ნახევარია.
— ვა, ვა, მაშ წავიდეთ რაღა, კნიაზჯან.
— სადა?
— სახლში.
— სახლში რა მინდა, რესტორანში ჩავიდეთ.
— კაკ ჟელაიშ, კნიაზჯან.

ორნივე წამოდგნენ და ნელი ნაბიჯით გავიდნენ ბაღიდან.

— რომელ რესტორანში ჩავიდეთ?—იკითხა ნათავადარმა.
— რომელშიაც გესიამოვნება, კნიაზჯან, ჩემთვის ვსერავნოა.
— „ოლიმპია"-ში გინდა?
— ვა, ვა, აბა იქ არის აი, რაც არის.

ასეთი მუსაიფითა და პატიჟით ჩავიდნენ რესტორან „ოლიმპია"-ში და მიუსხდნენ ერთ კუთხეში მიდგმულ თეთრათ გადაქათქათებულ სუფრას.

— რას მიირთმევთ?—ზრდილობიანათ მიჰმართა მკლავზე ხელსახოც გადაგდებულმა აფიციანტმა მუშტრებს.

დამშეული მიკიჩ მიკირტიჩი და ნათავადარი კი ხმა ამოუღებლივ მისჩერებოდნენ ერთმანეთს და მეტის ნდომისაგან ნერწყვსა ყლაპავდნენ.

— რას გვიბრძანებთ, რა მოგართვათ?—განმეორებით შეეკითხა აფიციანტი.
— ვა, უთხარი რამე რაღა, კნიაზჯან.
— შენ უთხარი.
— ვა, მე რათ უნდა უთხრა, შენ არ ჩამომიყვანე, კნიაზჯან.
— რას ამბობ კაცო, ჯიბეში არც ერთი გახვრეტილი გროში არ მიჩხავის და მე საიდან დაგპატიჟებდი?
— ვა, ვა, ეგრე როგორ იქნება, კნიაზჯან.
— რას ოინბაზობთ, ავლაბარში ხომ არა გგონიათ თქვენი თავი, თუ გინდათ რამე, მოიკითხეთ, თუ არა და მიბრძანდით საიდანაც მობრძანებულხართ!—ხმამაღლა მიმართა მოთმინებიდან გამოსულმა აფიციანტმა.

სიმშილისაგან მილასლასებული მიკიჩ მიკირტიჩი და ნათავადარი ისეთი ბარბაცით ამოდიოდნენ რესტორანის კიბეებიდან, გეგონებოდათ კარგა ნაქეიფრები არიან და თავი ვეღარ შეუმაგრებიათო.

ზურგში კი აფიციანტების ირონიული სიცილი და ურიგო ხსენება მოსდევდათ.

— არა, ეს რა ხათაბალაში ჩავცვივდით, კნიაზჯან.
— ხათაბალა შენა და შენს თავს, ვერ იტყოდი თუ ფული არა გქონდა?
— ვა, შენ არ მეპატიჟებოდი, კნიაზჯან..
— კარგია ერთი, მამა ნუ წაგიწყდება.
— მახლას, რაც იყო-იყო. კნიაზჯან, პაპიროსი მაინც გავაბოლოთ ამ ჯავრიან გულზე.
— არა მაქვს.
— „პაშტუკამი"-ს ფულიც არა გაქვს, კნიაზჯან?
— არა.
— ვა, ეგრე როგორ გაფცქვნილხარ, კნიაზჯან.
— ჩემსას რომ კითხულობ, რატომ შენსას კი არას ამბობ? შენ ხომ მთელ თბილისში პირველი ლილდის ვაჭრათ იყავი ცნობილი?
— ეეჰ, კნიაზჯან, ნუღარას მკითხავ, ყველაფერი წამივიდა ხელიდან.
— სახლები?

# სტამბა.

ცეცხლის ბირთვები მარცვლებს იტაცებს.
საათი რვაჯერ—
წკრიალებს. რეკავს...
შავ ლაქიანი კუნთთა დაჭიმვა,
მიაფრენს ნაფოტს ფირფიტზე სწაფათ.
და
ბედთა ნახევს
ის ჩასჩურჩულებს,
ტყვიით დატვირთულ ფოლადის დაფებს..
ჩუმი ხმაური, ოთხ საათს იტევს.
აწ შაბაშია—
შეჩერდით ყველა.
იშლება გუნდი მუშათა უბნის.
დაეკიდება სიჩუმე დაზგებს...
დრომ გადატეხა დუმილი სტამბის,
მანქანამ იგრძნო ნაკადის ძალა.
გაენთო ღვედებს შინინი ელვით
ხრიალით, კვნესით დაიგუგუნა:
გინ. გაან. შინ. შანაა. შაარ.
შია. შიშინებს.
მოაფრენს შავათ ნახაზ თეთრ ფიფქებს,
დაეფინება ფენებათ ფირფიტს.
და
მეგაზეთე სტამბიდან ქშენით—
მიაჩრის მასებს გრძნობის ნაფლეთებს..

აკაკი მეხხი.

— ჩამომართვეს, კნიაზჯან.
— მაშ ეხლა რილათილა სცხოვრობ?
— რაღა რილათი, კნიაზჯან, რაც ძვირფასი ნივთები მქონდა ნელნელა ვყიდდი და ამით ვარჩენდი ოჯახს. ეხლა ისიც დამელია და დავრჩი ასე ხელცარიელი.
— შენ კიდევ რა გიჭირს, მიკიჩ მიკირტიჩ, აბა შეხედე იმ გენერალს? ეგეც კი ხელზე პაპიროსების გამყიდველათ აქცია იმ დასაქცევმა რევოლიუციამ.
— ეგ პაპიროსებით მაინც ვაჭრობს, კნიაზჯან, შენ ის გენერალი უნდა ნახო, ვერის ხიდთან რომ ჩაგდებულა ქუჩის მტვერში თავისი წითელი მუნდირითა და სამათხოვროდ გაუშვერია ხელი.
— ასეთია რევოლიუციის განაჩენი! გენერალი კი არა, ნიკოლოზ მეფესაც კი გაუგმირა გული!—მიაძახა ვილაც გამვლელმა ახალგაზრდამ და შიშისაგან ორივეს მუცელში ჩაუვარდათ ენა.

ვ. ქუჩიშვილი.

# გიორგი ბაშინჯაღიანი
## 1857—1925
### ბიოგრაფია

გ. ბაშინჯაღიანი დაიბადა 1857 წ. ქ. სიღნაღში. მან იქვე მიიღო პირველ-დაწყებითი სწავლა. პატარა გიორგი ბუნებით ნიჭიერი იყო, ცოცხალი. და პატარაობიდანვე უყვარდა ხატვა. ბავშვის ფანტაზიას ხელს უწყობდა ადგილობრივი მდიდარი ბუნება-მდებარეობა.

ლაზნის თვალ უწვდენელ ველი, თავისი უზარმაზარი ბაღებით ტყით, და შორს გაჭიმული კავკასიონის ქედი, მუდამ დათოვლილი და ამაყათ აზიდული მაღლა ცაში, აი ამ სანახაობამ გიორგის უფრო გაუცხოველა ხატვის სიყვარული. იგი ყოველთვის ხატავდა რაც კი შეეძლო, მაგრამ ის შესაძლებელია, არც კი გამოსულიყო ასეთი თვალსაჩინო მხატვარი, რომ მისთვის ხელი არ შაეწყო სრულიად შემთხვევით ერთს გარემოებას. მე აქ მოვიყვან განსვენებულის სიტყვებს, რომელიც მიამბო გასულ გაზაფხულზედ თავის ატელიეში: „ქ. სიღნაღში, როდესაც მე პატარა ვიყავი, იქვე ჩვენს მეზობლად სცხოვრობდა ე. ჩოლაყაშვილის ოჯახობა, რომლის შვილებთანაც მე დაახლოვებული ვიყავი. ჩვენ ერთად ვთამაშობდით. მე ხშირად ვიხდებოდა იმათსა ყოფნა. როდესაც მე ქაღალდზე დავხატავდი რასმე მივცემდი ხოლმე ჩემს ამხანაგს მ. ჩოლოყაშვილს, რომელიც ინახავდა ნახატებს. ერთხელ ამ ჩოლაყაშვილს ტფილისიდან სტუმრად ეწვია დიდი მოხელე რუსი, რომელსაც იმათს ოჯახში შემთხვევით ენახა ჩემი ნახატები. მოსწონებოდა და გამოეკითხა თუ ვისია ეს ნახატებიო... მასპინძელს ეთქვა აქვე ახლოს სცხოვრობენ ვინმე ბაშინჯაღოვები, იმათი ბავშვის დახატულიაო. ამ მოხელეს მოეწადინებია ჩემი ნახვა, ეთხოვნა დამიძახეთო. მართლაც მე დამიძახეს და მიმიყვანეს მასთან. მნახა, გამომელაპარაკა, და მითხრა შენ ხატვის ნიჭი გაქვს, უეჭველად უნდა, ისწავლო ხატვა. მე შენ მოგიხერხებ, რომ ტფილისის სამხატვრო სკოლაში მიგიღონო... მე ძალიან გამიხარდა და აღფრთოვანებული გამოვიქეცი სახლში. ეს ამბავი ვიხარე ყველას, და სიხარულით არ ვიცოდი რა მექნა. მართლაც რამოდენიმე ხნის შემდეგ, ჩოლაყაშვილს მოსვლოდა ტფილისიდან წერილი, რომ ბავშვი გამოგზავნეთ, სკოლაში, უკვე მიღებულია სახელმწიფო ხარჯზეო. მეც ჩვენებმა სახლში მომამზადეს და გამომისტუმრეს ტფილისში სასწავლებლად, სადაც შეველი და დავიწყე ხატვის სწავლაო“.

განსვენებულს ეს სასწავლებელი წარმატებით დაუმთავრებია.

სამხატვრო სკოლის დამთავრების შემდეგ გ. ბაშინჯაღიანი შევიდა პეტერბურღის სამხატვრო აკადემიაში, სადაც კურსი დაამთავრა 1883 წ. ამავე წელს დაბრუნდა ტფილისში და გამართა პირველი გამოფენი. გამოფენა სულ 25 ტილო. ახალგაზრდა მხატვარმა უცბათ მიიქცია ფართო საზოგადოების ყურადღება. მასში სცნეს უეჭველათ ნიჭიერი მხატვარი და პრესაში აღფრთოვანებული რეცენზიები უძღვნეს.

1883 წელსვე მან გამოფენები მოაწყო ქ. ბაქოში, როსტოვში და ჩრდილო კავკასიის ზოგიერთ ქალაქებში. ყველგან მის სურათებს ყურადღებით ხვდებოდენ. ეს სურათები გამოფენაზედ ყველა გაიყიდა. 1884 წ. გ. ბაშინჯაღიანი გაემგზავრა იტალიაში და შვეიცარიაში, რათა გასცნობოდა დასავლეთ ევროპის დიდ ხელოვანთა მხატვრობას. მან იქ დაჰყო და მუშაობდა წელიწად ნახევარი. შემდეგ



გიორგი ბაშინჯაღიანი

დაბრუნდა ტფილისში და ამის შემდეგ მუშაობდა ყოველთვის აქ, საკუთარ სახელოსნოში. იგი ყოველ წელს იღებდა მონაწილეობას თავისი სურათების გამოფენით „პეტერბურღის მხატვართა საზოგადოების“ გამოფენებზედ. ბაშინჯაღიანი 1900 წელს გაემგზავრა პარიზს და იქაურს მსოფლიო გამოფენაზედ მოაწყო საკუთარი სურათების გამოფენა. აქაც საზოგადოების დიდი ყურადღება მიაქცია მისმა ნამუშევარმა, რის შესახებ ფრანგულმა პრესამაც უძღვნა წერილები პარიზში დაჰყო ორ წელიწადს. აქაც მუშაობდა განუწყვეტლივ. ტფილიში დაბრუნებისას კვლავ შეუდგა ნაყოფიერ მუშაობას დ ყოველთვის იღებდა მონაწილეობას გამოფენებზედ, როგორც ტფილისში აგრეთვე კავკასიის სხვა ქალაქებში. როგორც მხატვარი გ. ბაშინჯაღიანი დიდი ხელოვანი და ოსტატი იყო საუკეთესო შემცნობი ბუნების, მისი მესაიდუმლე. და მრავალ ფერადების საუკეთესო ამსახავი ტილოზედ. იგი უმთავრესად ხატავდა ბუნების სილამაზეს. ეს იყო მისი სტიქია. მისი საუკეთესო ნახატებია: „ქ. ანის ნანგრევები. „სევანის ტბა“. „მტკვარი ღამით“. „არარატი“. მრავალი სხვა და სხვა ვარიანტით „დარიალის ხეობა“ „სომხური სოფელი ზამთარში“, „ტყე“. „ზამთრის დილა ტყეში“. „ნუკრიანის კალოები“. „ალაზნის ველი“. მრავალი ვარიანტით. „მანგლისის პეიზაჟები“. არის ვარიანტი“ ვეფხის ტყაოსნიდან“, სათაურით „სტრიქონები რუსთაველიდან“. და მრავალი სხვა, რომელთა ჩამოთვლა შეუძლებელია, რადგანაც იგი იყო მეტათ ნაყოფიერი და იშვიათი შრომის მოყვარე. მან დახატა 45 წლის განმავლობაში 2000 სურათზედ მეტი, რომელნიც გაყიდულია როგორც საქართველოში, სომხეთში, აზერბაიჯანში და რუსეთში, აგრეთვე საზღვარგარეთ. მხატვრობის გარდა მას იცნობენ მწერლობაშიაც როგორც ნიჭიერ მწერალ-მგოსანს. მის კალამს ეკუთვნის პატარ-პატარა ლირიული ლექსები, ესკიზები, წერილები ხელოვნებაზედ. დასწერა პიესა „სტუდენტები“, დრამა 3-მოქ. და სხვა. გ. ბაშინჯაღომა როგორც საქართველოში დაბადებულ აღზრდილმა კარგად იცოდა ქართული ენა, იცნობდა ქართულ ლიტერატურას და განსაკუთრებით უყვარდა „ვეფხის ტყაოსანი“, რომლის ტექსტიც ზედ მიწევნით იცოდა ზეპირად. იგი იყო დიდი მოყვარული საქართველოსი. და ყოველთვის ცდილობდა ქართველ-სომეხთა დაახლოვება-მეგობრობას. პოეტმა ი. გრიშაშვილმა ბაშინჯაღიანის უახლოესი დახმარებით სთარგმნა—სომხურიდან პოეტი ოვანეს თუმანიანი.

ბაშინჯაღიანი გარდაიცვალა ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ 4 ოქტომბერს. ტფილისის საზოგადოებამ მისი კუბო დიდის პატივით მიაცილა საფლავამდე 11 ოქტომბერს. დაასაფლავეს იგი მაიდნის ეკლესიაში ცნობილი მგოსანის **ხაიათნოვას** საფლავის გვერდით, რომელიც ესოდენ უყვარდა გ. ბაშინჯალსანს და მისივე დაუზარელი შრომა-მეცადინეობით აღეგო ძეგლი „**ხაიათნოვას**“ საფლავთან მრავალი სიტყვები იქმნა წარმოთქმული.

ვ. ბუთლიაშვილი

## იუმორისტის კუთხე.




**მ ი მ ა რ თ ვ ა:**

ა ი, მაზე!
შერე მიგ ჩაზე:
თუა, ნაზე,
შენი ხაზე!..

### შ ა რ ა დ ა

არ იქნა, ველარ მოვეშვი
ამ შარადების ჩმახვასა,
რა ვქნა, კვალდაკვალ თუ მივ! დევ
ქვეყნის კარგსა, თუ ძრახვასა?!.

ხან რიფებთან მაქვს მე საქმე
ისე, ვით ჰქონდა ლიოტეს...
ამ ქვეყნად, განა, ბოლო აქვს
კაცთა ხშირს სიიდიოტეს?!.

აი, ჩინეთშიც დაიწყეს,
ასვარ-დასვარეს ყოველი...
კაცი თუ ორ ფეხს ეყრდნობა,
განა, ცოტა სჯობს ცხოველი?!.

ჩვენც კაცთა ჩმახვა-ჩმოხვიდან
დღეს ამ ერთ საგანს ვეხებით,
დეე, თუნდ ესე შემთხვევაც
კოჭლობდეს ოთხივ ფეხებით!..

შარადას ხომ მაინც უნდა
შედგენა, როგორც ძველად,
მაშ, თქვენც საჭირო საგნების
წამომყეთ საძებნელადა!.

პირველ მონახეთ მცენარე,
ბოსტანი მოიარენით,
ძირ თავა რამ ამოაგდეთ,
მისთვის იქ მიწაც ჰბარენით.

გარედ სხვა და სხვა ფერისა,
შიგნით ნიადაგ თეთრადა,
ჯერ დანა უნდა გაუსვათ
გასაფცქვნელ-გასაკვეთრადა;

შვენის ლობიოს შეჭამანდს,
მწარე, უზავებს გემოსა,
წინა და ბოლო მარცვალი
მოჰკვეთეთ, რაც რომ ემოსა;

ნაშთი კი უნდა შარადას
მარტოკა დასაწყისათა...

აწცა სხვა ნახეთ საგანი,
სახლშიგან, არა თვისათა.

რასაც ჰპამს შელებ-გალება,
წყვილად, თუ ცალად ჰკიდია,
ოთხიდან ბოლო ანბანი
არც რამ საჭირო დიდია;

მოსწყვიტეთ და უკუაგდეთ,
ნაშთი პირველ ნაშთს ჰმატეთა,
და ბოლოს ერთი საგანიც
თქვენ კიდევ მომინახეთა:

წითელი, თუ თეთრი ფერის
სითხეა, დამათრობელი,
ხუთი ასოთი სახელი
მისია მოსათხრობელი;

პირველი სამი არ გვინდა,
მოსწყვიტეთ უკუაგდეთა,
რაც დარჩეს, იგი ჩვენია,
გვჭირდება საშარადეთა;

მითი სრულდება შარადაც!
სძებნეთ ევროპის კუთხეში
ქალაქი, სადაც შემოკრბა
ამ ქვეყნის ძალა უხეში:

იქ გერმანეთი შეაბეს
იმათ მონობის უღელში,
თუმცა შეთანხმდენ პირობის
თითქმის სუყველა მუხლებში;

მაინც ჩოქებას იწყებდა
ის მეთექვსმეტე მუხლითა,
თუმცა ოთხითაც იფორთხებს,
თუ ვერ იხოხებს მუკლითა!..

საგარანტიო პირობებს
ეს საქმე ისეც ჰშვენია,
თუმცა მე აგერ, მათ ნაცვლად,
შტრეზემანს ვფიცავ, მრცხვენია!..

ონისიმე.

### მესტვირული

(ჭიათურისთვის).

დიდი ხანია სტვირისთვის
არ შემივლია ხელია
და კრიმანჭული არ მითქვამს,
ზოგიერთების მწველია!

ნეტავი მაინც არ ვიყო
მესტვირე ძველის-ძველია,
ბევრსა საკბილოს გაგაცნობ,
„ნიანგო“, მიწყვე ხელია...

პირველად ვნახოთ რკინის გზა
მასთან საქონლის სადგური
გადმომტვირთავი მუშების
უფროსი მამა პაპური,
პეტრე ჩხიკვაძე ბძანდება
ეს ვაჟბატონი ჩვენია,
მის საქმეს სხვებსა ავალებს,
უყვარს გამოსარჩენია'!!

თივები მოვა ვაგონით,
თუ სხვა რამ საქონელია,
ის გადმოტვირთვას აიღებს,
ფულისკენ მიაქვს ხელია...

(რადგან პეტრეა უფროსი
და „გამგე“ უიქველია).

უკვე გადიან დღეები,
ისევ სავსეა ვაგონი,
და გაკვირებას მოდიან
ამა ამბების გამგონნი.

მეურმეები მოდიან,
წაიღონ საქონელია,
ხედვენ, პეტრეს და მის მუშებს
არც კი უხლიათ ხელია.

მეტი რა გზა აქვთ? იღებენ
ვაგონებიდან თივასა




**გატაცებული კინო-მკითხველი:**

„ბაღდადის ქურდი"!..
ახ, უნდა ვნახო,
და სალაროსთან,
მსურს, მივსდგე ახლო...
(ქურდო, შენ ჯიბეს
ხელი არ ახლო!)




**და გაძარცვული იგივე იგი:**

ვა, ეს ინჩა, ტო!
ვინ მჯიდა ბაღდადს?
ვერ მოვუარე
ჯიბეში მე ნაღდს?!
(ბაღდადის რით სჯობს
თბილისურს ადათს?!.)

---

და მიუტანენ საქონელს,
ვისაც ეკუთვნის, იმასა...

პეტრე კი იწყობს ჯიბეში
გადმოსატვირთავ ფულებსა,
სხვისი ნაშრომი ქანქარით
გაიხარებენ გულებსა!!!

ღირსია, ძმაო ნიანგო,
რომ აუწევდე ყურებსა
და ნუ მოაკლებ გეთაყვა
ღირსეულ საყვედურებსა...

**მალაროს მუშა.**

---

# პრინციპის კაცი

უკანასკნელ მოდაზედ გამოწყობილი, მონოკლით თვალზედ და სტეკით ხელში, ჟორჟიკა გაფლანგაძე, მომღიმარე სახით წარსდგა კომისრის წინაშე. არაჩვეულებრივ საქმეებით გართულმა კომისარმა უკმაყოფილოთ აიხედა და ეჭვის თვალით გაზომა ახლად შემოსული. ჟორჟიკას არ დაუკარგავს სულიერი სიმშვიდე და მომჯადოებელი ღიმილით რიხიანათ მოჰმართა:

— მხოლოდ ორიოდე წუთს წაგართმევთ, თქვენს ძვირფას დროიდან... მიუპატიჟებლივ ჩამოჯდა სავარძელზედ, სტეკი და ხელთათმანები კომისარის მაგიდაზედ დააწყო და გააჩალა სურნელოვანი პაპიროსი, კომისარი მეტად დაინტერესდა ახალი ტიპით და დაკვირვებული თვალით ზომავდა მას თაეით ფეხებამდე.

— მე, ამხ. კომისარო, დიდი პრინციპიალი კაცი გახლავართ! მოგეხსენებათ, უპრინციპო ადამიანი არარაა!!. ამას გარდა, მე არა მრწამს მასის ერთგვარიანობა. მასა—მასაა და ინდივიდი კი შედევრია ყოველი კოლეკტივისა! მე უკიდურესი ინდივიდუალისტი გახლავართ!..

— მოკლედ მოსჭერით, რა გნებავთ შენიშნა კომისარმა.

— მე გახლავართ მარად მოუსვენარი სული რევოლიუციონერი!.. ჯერ კიდევ სიყმაწვილეში ვერ შევეგუე სასწავლებლის მძიმე ატმოსფერას და გამოვემშვიდობე მას. სწორედ ამ ხანში ბაბუაჩემმა ბრძნულად გადასწყვიტა საიქიოს გამგზავრება და მე დამიტოვა თავისი ქონება, რაიც მე მოკლე ხანში შევეცადე ღირსეულად გამომეყენებია... ვიგემე რა ცხოვრება, გამოვიმუშავე განსაკუთრებული პრინციპები და, მამაპაპული ქონების ლიკვიდაციის შემდეგ, გამოვნახე ისეთი ადგილი, სადაც ჩემი ნიჭი შეფასდებოდა... მე პირველ ნაბიჯზედვე დავრწმუნდი ცხოვრების უკულმართობაში: შრომა საკმაოდ არა ფასდება, რისთვისაც საჭიროა შენ თითონ შეაფასო შენი თავი და არა სხვამ. ამის შემდეგ მე დავადექი რევოლიუციონურ გზას. მე თითონ ვინაზღაურებდი ცხოვრების დანაკლისს: გავიჩინე ეტლი, ძვირფასად მოწყობილი ბინა, ქალები და ფუფუნებაში შევცურდი. ამ ნიადაგზედ ჩემსა და სამართლის უწყების შორის წარმოიშვა მცირე კონფლიკტი, რომელსაც [illegible] მოჰყვა მტკვრის ნაპირზედ არსებულ კონსტანტინე სავარსამიძის ენით რომ ვსთქვათ, ქართველ მეფეთა ყოფილ ვილლაში ჩემი გამგზავრება. აქ პირველმა გამგზავრებამ მიშველა და ჩემი წარსული ტალღებმა შთანთქეს. მენშევიკთა ბატონობის დროს მე ყოველ ზომას ვხმარობდი ძირიან-ფესვიანათ შემერყია მათი ტახტი და გამოცდილებით ათასგვარი კომბინაცია მოვაწყე. ოსმალეთის დამპალი ფქვილით ერთი თვე ვკვებე მენშევიკთა ჯარი... გიყვარდეთ, დეზერტირობისა და უკმაყოფილების ამითი გამოწვევა! საერთოთ ამგვარი რევოლიუციონური ხასიათი ჰქონდა წარსულში ჩემს მოღვაწეობას. ეგ არის, ბოლოს ერთ უბრალო საქმეში მოვხდი: გორის დაზარალებულთა ფული... შემომეხარჯა და მერე რაღაცა კიდ ვ იარაღით ვივაჭრე... ერთის სიტყვით, არაფერი იყო,—თავს დავაძვრენდი: მოგეხსენებათ, მაშინ იუსტიციის მთელ სამინისტროს ერთი ტომარა ფქვილით იყიდიდით!

საბჭოთა წყობილების დამყარების შემდეგ მე კეთილსინდისიერად შევუდექი სამსახურს მხოლოდ, მოგეხსენებათ, ბოროტი ხალხის ენა: მე კვლავ მოვხვდი მეტეხში... რაღაცას მაბრალებდენ, რისთვისაც ექვსი წელიწადი გადამიწყვიტეს და შემდეგ ამნისტიით გამათავისუფლეს. მოკლე ხანში იქ ყოფნამ თვალები ამიხილა მე—და გადავწყვიტე ამგვარი უგვანო საქმე აღარ ჩამედინა. ამისათვის გადავწყვიტე უშუალოდ ფულთან დამეჭირა კავშირი—მოლარეს ადგილზედ მოვეწყე. კარგად მიდიოდა საქმე, მე ძველებურად ვსცხოვრობდი, არაფერს ვიკლებდი. სანამ მტკიცე ვალიუტა შემოვიდოდა, მე ფულებში დავცურავდი. მაგრამ აიჩერვონცების ხანა დადგა და მეც ცოტა ყურები ჩამოვყარე, მხოლოთ მალე ვისწავლე ქიმია და გავიგე ლიმონისა და ღვინის სიმჟავის დამოკიდებულება მელანთან. ამას ხშირადა ვხმარობდი... კლუბმაც ჩამითრია... ღამეებს სულ „ბულ"-ებში ვაბულბულებდი. პირველ ხანში ვიგებდი, შემდეგ კი ვაგებდი და ვაგებდი... ბევრი ვეცადე ამომეძრო თავი, მარა, რაც უფრო ბევრი ვიფოფხე, უფრო ღრმად ჩავიფალი... გიდელში შემძვრალ ძაღლს დავემსგავსე...

— თქვენ?!. შეეცადა კომისარი.

— მე ველარაფერი გამოვასწორე... ეხლა, ამხ. კომისარო, მე გულახდილად გიამბეთ ყველაფერი და, ვინაიდან მე გადავწყვიტე ჩემი წაწყმედილი სულის მონანიება. მსურს აღვიკვეცო ბერად მეტეხის წმინდა მონასტერში, რისთვისაც გთხოვთ, დამინიშნოთ საპატიო ამალა ჩემი ძვირფასი გვამის გასაცილებლად. მხოლოთ დაიხსომეთ, რომ მე პრინციპის კაცი გახლავართ: თუ თქვენს შრომას სხვა არ აფასებს თქვენ თითონ უნდა შეაფასოთ თქვენი შრომა და ნიჭი. მე ხომ მუდამ ვაფასებდი თქვენს უსაზღვრო ნდობას ჩემდამი და ამისათვის მეტეხში კიარა—ორთაჭალაშიც გიახლებით თუ კი საჭირო შეიქნა. ადიო, მესიო კომისარე. ნახევარ საათის შემდეგ ჟორჟიკა თფილისის შუა ქუჩებზედ ამაყად მიაბიჯებდა, მას წინ და უკან საპატიო ამალათ თოფ-მხარზედ გადაგდებული მილიციონერი მიაცილებდა.

**გოჩმანი.**

# „თიო-თიო“-ს*) საზოგადოების დელეგაცია თბილისში

ამ ორიოდე კვირის წანად თბილისში ჩამოვიდა ქუთაისის „თიო-თიო“-ს საზოგადოების დელეგაცია, საზ—ბის პრეზიდიუმის წევრ სიმონიკა კვინჭიხაძის მეთაურობით.

### შეხვედრა სადგურზე

ტფილისის რკ. გზის სადგური გაჭედილი იყო ხალხით. ხალხში „თიო-თიო“-ს საზ—ბის ყოფ. წევრებიც ერია.

დელეგაცია იქავე ჩაიყვანეს სადგურთან არსებულ ერთ-ერთ სამიკიტნოში, სადაც გაიმართა მისალმებები.

### დაბინავება

დელეგაციის წევრები მოათავსეს რესტორან „ულუფის“ ნომრებში, სადაც მათ საპატივსაცემოდ გაიმართა „აფხანაკური ვახშამი“, რომელმაც გასტანა მესამე დღის 3 საათამდე.

### დელეგაციის ჩამოსვლის მიზანი

„ეშმაკის მახე“-ს თანამშრომელთან საუბრის დროს დელეგაციის წევრმა, აქვსენტი სიკინჭილაძემ, განაცხადა, რომ დელეგაციის ჩამოსვლის მიზანია გაიცნოს კახურ ღვინის მსმელთა ცალკე საზოგადოებები და მჭიდრო კავშირი დაიჭიროს მასთან.

— ჩვენი ლოზუნგია, სთქვა ამხ. აქვსენტიმ: „დალევა უკაპლოდ!“ ჩვენ გადაწყვეტილი გვაქვს საკუთარი ბაზარი ვუშოვოთ იმერეთის ღვინოებს და განზრახული გვაქვს ასეთივე აზრი შევათვისებიოთ აქაურ „სალვინე“ საზოგადოებებსაც.

## „წარმოება-დაწესებულებების“ დათვალიერება

მეორე დღიდან დელეგაცია შეუდგა „წარმოება-დაწესებულებების“ დათვალიერებას. დაწვრილებით დაათვალიერეს ტფილისის ყველა სამიკიტნოები, რესტორანები, ბუფეტები, ბაღები, კერძო და წითელი სასადილოები, სარდაფები და სხვა.

დათვალიერებამ გასტანა რამოდენიმე კვირას.

დელეგაციის მუშაობა ფრიად ნაყოფიერი გამოდგა; არ დარჩენილა არც ერთი სალვინე კუთხე, სადაც ისინი არ შესულიყვნენ, ხოლო აქეთ გამოსვლა კი ნაწილობრივ მონაწილეთა გამოტანით არ დასრულებულიყვეს.

და იყო სმა: ჭიქით, ბოთლით, ყანწით, საინით, სამარილეთი, გრაფინკით, გობით, ვაზებით და ასე გასინჯეთ ქართული ქუდითაც კი.

მათ ახლდა საკუთარი გუნდი ვრცელი რეპერტუარით. რა გინდა სულო და გულო, რომ იქ არ გაიგონებდით: „ჩუმ-ჩაირა“, „სიმონიკა გოცაძე“, „მიკიტანო მელია“, „ახ, ეტო დივნი სონია“ და სხვა ათასგვარი სიმღერები.

დათვალიერებას ყოველთვის შესაფერი შედეგი მოყვებოდა: მილეწილი მაგიდები და თეფშ-ჭურჭელი, ყვირილი ქუჩაში და შემდეგ შესაფერ სამილიციო უბნის კამერაში ღამისთევა.

დელეგაციის წევრები ფრიად კმაყოფილი დარჩენ ტფილისის სამიკიტნოებითა და სამილიციო ნაწილებით.

ჩამოსვლიდან ორი კვირის შემდეგ, დელეგაცია, კახურ ღვინოების ნიმუშებით დატვირთული, „მაქსიმ გორკით“ გაემგზავრა თავისუფლად, ე. ი. ქუთაისისაკენ.

## დელეგაციის შთაბეჭდილები

გამგზავრების „წინ ეშმაკის მახის“ კორესპონდენტი ესაუბრა დელეგაციის თავმჯდომარეს, სიმონიკა კვინჭიხაძეს, რომელმაც კორესპონდენტს გაუზიარა მიღებული შთაბეჭდილებები:

— „თიო-თიო“-ს საზოგადოების დელეგაცია, სთქვა სიმონიკამ, დიდათ კმაყოფილია ტფილისის ნეხვით*). გადაეცით ჩვენს მასპინძლებს, რომ თუ ცამ პირი გააღო და მათაც ფეხი ჩამოუცდათ ქუთაისს, სულ სვირის ღვინოებში ვაბანავეთ. საქეიფო ადგილები ჩვენ შიგ ქალაქშიაც ბევრი გვაქვს, შეგვიძლია შიგ ქუჩებში გავშალოთ მწვანე სუფრა;—ჩვენი ქუთაისის თვით მთავარი ქუჩებიც კი მწვანე ბალახითაა დაფარული, რადგანაც ეტლის ფული არავის აქვს, იგი სულ ღვინოში მიდის, ხოლო ავტომობილები ქუთაისში თვით არ არის, მაგრამ, რაც არის, თითქმის ყველა დაჟანგულ-დანგრეული უძრავათ სდგანან.

შეკითხვაზე, თუ როგორი აზრისა არის დელეგაცია იმერულ და კახურ ღვინოებზე, სიმონიკომ განაცხადა: კახური განთქმულია მთელ დუნიაზე, მაგრამ ჩვენებური სვირის და ყიფიანის ღვინოებიც არ ჩამოუვარდება მას.

ყოველ შემთხვევაში, თუ აქაურები მაინც დაიწყებენ ჩვენებურ ღვინოების გინებას, ჩვენ ერთი რამ შეგვიძლია ვუთხრათ: „შ,ნი შენვე სვი და ჭამე, ჩემსას ჯვარს დამიწერე“!..

და ბოლოს საჭიროდ მიმაჩნია აღვნიშნო ერთი რამ:

აქაური სამიკიტნოები ძალიან ცუდათ იქცევიან, რომ სტუმრებს ნისიათ არ ასმევენ ღვინოს; სასოფლო მეურნეობის გაუმჯობესებისათვის ეს აუცილებელია. დამაკმაყოფილებელია წითელი სასადილოების მუშაობა, სადაც ღვინოს იძლევიან, რომ „სვი, რამდენიც გინდა“!..

ალსანიშნავია აგრეთვე აქაურ წითელ და არა წითელ სასადილოების ერთი დიდი ღირსება: უბინაო კაცს, მეტადრე ზამთარში აქ ცხოვრება არ გაუჭირდება, რადგანაც ნახევარი დღე სადილის ჭამას მოუნდება; ხოლო მეორე ნახევარი მის გაგრძელებას, ასე რომ დღე და ღამე ის გაგიფრინდება ხელიდან, როგორც თაიდან—სიფხიზლე.

დასასრულ არ შემიძლია არ აღვნიშნო ჩვენი მომავალი მუშაობის გეგმა: „თიო-თიო“-ს საზოგადოება ძლიერ მოწადინებულია საზ—ბის წევრების ნაწილი ჩამოასახლოს ტფილისში მათი საშვალებით ჩვენი ჩვეულებების აქ გადმოიერგვის მიზნით.

ყოველივე ეს საჭიროა ამ ორ ქალაქსა და მის სამილიციო ნაწილებ შორის მკვიდრი „სმიჩკის“ დასამყარებლად.

ალლარ-ალლარხან.

*) თიო-თიო იგივე თითო-თითო-ა.

*) კორექტურული შეცდომაა, უნდა იყვეს:—ნახვით.

---

# კარლო-ლიუსი

მეტად საფრთხილო ხალხია საზოგადოთ ეს კარლოები.

ისინი მაშინაც კისაფრთხილონი არიან, როცა პოლიტიკოსების, ეკონომისტების და სხვა ჭკუადამჯდარი ადამიანების როლებში იმყოფებიან, თორემ თუ კიდევ, მათდა და ჩვენდა საუბედუროთ, კიდევ პოეტობენ, მაშინ ხომ მთლად მშვიდობით ყოველგვარი მოსვენებავ მათგან.

კარლო-ლიუსი ერთ-ერთი პოეტთაგანია და ისიც ქართველი პოეტი, რაღა გასაკვირია, ამის შემდეგ, თუ მისი სიტყვით:

მწუხარის მანტია დახვეულა
 ყოველ არეში
შფოთავს ბუნება სიბნელეში
 ვით ავათმყოფი
ყოვლობას ფარავს იდუმლება
 ვით სამარეში
და ცის ლინიას გაკვრია
 სიგიჟის ცოფი.

ყველაფერი რომ იქით გადავდოთ, რაც მარგალიტები ამ „სიტყვებში მრიპოვება, ადამიანი, რომელიც ცაზე „ლინიას“ ისეთის სისწორით აღმოაჩენს, როგორც ამას სჩადის ჩვენი შეუდარებელი პოეტი კარლო-ლიუსი, უეჭველად ეს მას დიდ პლიუსად უნდა ჩაეთვალოს და მის გენიოსობას დიდი არაფერი უკლია, გარდა ჭკუისა.

მაგრამ ჩავყვეთ ქვევით:

ღამეა, ბნელი, ჯოჯოხეთად მიბნელებული
ტანჯვის სუდარა აღმართული ვით ეშაფოტი
ხმელეთის ნაწილს გარს ეხვევა შავი ზონარი
და იძვრის ცოდვით დედა მიწა როგორც ნაფოტი.

ბულგარეთისა და რუმინეთის ამბებს შემდეგ, ეშაფოტის ხსენება არც იმდენათ დიდი დამსახურებაა, როგორც ეს მუსოლინს ჰგონია, მაგრამ კაცს რომ დედამიწა ნაფოტზე მეტად აღარ ეჩძიმება, იგი ჭეშმარიტად გიგანტია გიგანტი.

მაგრამ ვადროვოთ ჯერ კიდევ კარლო-ლიუის:

დემონთა გროვა მწველი ხედვით გააფთრებული
ეხატებიან უსაზღვროში თმებ აბანჯღლული
სტირის ქვეყანა ცხარე ცრემლით ატირებული
სისხლის ღარებად სახე მისი ჩამოკაწრული.

აქ ყოველი სიტყვა მართლაც რომ ხანჯალია, ისე ხვდება ადამიანის გულს, მაგრამ ბოლო წინადადება მთლად ერთ მეგრულ ტირილადა ღირს. აი. მაგალითად, მე, აგერ ორმოცდა ექვსი წელიწადია დავუძივარ ამ დედამიწაზე და თუ მას სახე ჩამოკაწრული ჰქონდა და ისიც სისხლის ღვრებათ, დღევანდლამდე არ გამიგია.

ოჰ, რა მწარეა ეს სალამო მწე მართალთათვის ტანჯვის სუდარა ალმართულა ვით ეშაფოტი ცრემლი ერევა ქიმიურად, სისხლის ნაკადებს და იძვრის ცოდვით დედა მიწა როგორც ნაფოტი.

სწორედ ნეტარების ცრემლი გდის ადამიანს ამ სიტყვების წაკითხვის შემდეგ და ცრემლი ისე მართლაც სისხლთა ნაკადებს ერევა და ისიც ქიმიურად, როგორც სამართლიანად ათავებს თავის შესანიშნავს ქიმიურს ლექს პოეტი, კარლო-ლიუისი. ქიმიური, დიახ ასე: გაუსვი, კარლო-ლიუისო, გაუსვი, ეს ქვეყანა შენისთანებისაა, ჩემო ძმაო,თუ დაგანებებენ..,

**ისარი.**

---

# „არ არის კაი, კაიო“!

## პენლევე, ბრიანი, თუ ერიო?

პარიზი. 28 ოქტ. საფრანგეთის პოლიტიკურ წრეებში ფიქრობენ, რომ დუმერგი წინადადებას მისცემს პენლევეს ხელახლა შეადგინოს კაბინეტი და თვითონ ჩაიბაროს ფინანსთა მინისტრის პორტფელი. თუ პენლევემ არ იკისრა კაბინეტის შედგენა, მაშინ პრემიერებად ასახელებენ ან ერიოს ან ბრიანს.

(დეპეშებიდან).

პენლევემ უთხრა კაიოს:
„რად შემიყენე წყალიო?
დამაცა, როგორ გიგვერდო
და დაგიყენო თვალიო!

მოგანდევე ანგარიშები,
შენ ამისვარე დავთარი,
და მთელს კაბინეტს შეუდგა
ყოფნა-არყოფნის ქანთარი.

მოედე ლობე-ყორესა,
და შენი ბუჰლალტერია
ტალახში დამდგარ ჯორსა ჰგავს
ისე, რომ შენი მტერია!

გვიბღვერს იქიდან ერიო,
აქიდან კიდო—ბრიანი
ჩვენი წახდენა იმათთვის
საქმეა, სარგებლიანი.

აზავთდებიან განგაშით,
ასტეხენ დავიდარაბას
და შეუცვლიან წარწერას
ამ ჩვენ საერთო დარაბას.

რა მიყავ? რა ცეცხლში მაგდებ?
რისთვის გამწირე მკაცრადა?
მე იმ თავითვე ვიცოდი
შენ არ ვარგოდი კაცადა.

მაგრამ თუ მინისტრობისაც
აღარ შეგწევდა უნარი,
ისე, რომ შეიქნებოდი
ერრიოს დასაწუნარი,

ეს კი მეც აღარ მეგონა
და მხოლოთ ახლა ვრწმუნდები,
როცა უეჭვოდ დამტკიცდა,
რომ აღარ გამობრუნდები!

ჯანდაბას შენი თავ-ფეხი.
სადაც გსურს იქით იარე,
მხოლოთ მწყინს, რომ შენი დღე მეც
უნებლივ გავიზიარე,

და ბედი ჩემი აქამდის
ურყევი, მოდის რყევაში...
რას ფიქრობდი ასეთ მარცხს
შენგან ჩემს ჩამოთრევაში?!

მე ეგერ დღეს მიმწარებდენ
აბ-დელ ქერიმის რიფები,
აქ დიდევ საფრთხეში მაგდებს
შენი უთავო ციფრები.

უკვე მიმიხმო დუმერგმა,
გამზომა ცხელი თვალითა
და გადადგომის ქაღალდიც
დამაწერინა ძალითა,

მე წავალ, მაგრამ კვლავ მოვალ!
შენ ჩამომრჩები გზაშია!
და აწ შენც, ჩემო კაიო,
მიხვდები, საქმე რაშია.

შენა კაისკენ იყავ და
ეშმაკისაკენ კაიო,
ბებია ჩემი იტყოდა,
არ არის აგი კაიო!..

თუ შენ მახეს მიგებდი,
მეც მოგიხერხო ბრალია?!.
თათრობით ორივ ერთია
ოსმანა არის, თუ ალია...

შენ მიერ წამხდარ საქმესაც
ასე თავს მოვლებულია
რადგან ავკაცის მოავე,
შენც იცი, ცხონებულია!..

**ქაქიჩ.**

---

# გამოხმაურებაზე გამოხმაურება

ვხედავ, რომ გასჭრა წერილმა
იმ ჩემი მოწოდებისა,
დარბის შიკრიკი, არ არის
წუთიც მუხლთ მოკიდებისა;

მოათრევს ცხელ ცხელ წერილებს,
თითქოს ხეს სცვივა ფოთოლი,
ამ შემოდგომის ქარისაც
ამას ხელს უწყობს ქორქოლი.

ვხედავ, მოუქრის ქარი და,
წერილიც ჩემწინ ვაოდება
დავსწვდები, ხელში ავიღებ,
უზომოდ გამიხარდებ.

მაგრამ პირველს წუთს სხვა შესცვლის,
უფრო მწარე და დამწველი,
ან კი რა მეთქმის? მევე ვარ
ჩემივე თავის მტანჯველი!..

ვინ მსჯიდა? რას ვაწუხებდი,
რომ სალერღელი ავშალე
და მოწოდება იმ სიგრძე
სასწრაფოდ გავაშანშალე?

არ ვიცი ხალხის თვისება,
როცა ფულს საქმე ეხება?
არც მოიხკდავს, რომ თუნდაც
უფსკრულში გადიჩეხება!

ოღონდ კი ფული შეჰპირდი
ხელის, გინდ ფეხის ფასადა,
ჯერ თავს შეგაჩვევს და შემდეგ
მოითხოვს ერთი ასადა!..

რომ ლიტონ სიტყვად არ დარჩეს
ეს და არცა გადაჭარბება,
საჭირო არის საბუთი
და ფაქტის აქვე ცხადება.

ინებეთ! პარმენ ობოლის
მომყავს მეც სიტყვა აქავე,
და ან თქვენ ბრძანეთ, ვარ, თუ არ
მე ბოროტების სათავე?!.

ჩვენ ვწერდით, რომ სტრიქონ ლექსზე
გავიღებთ ორ-ორ შაურსა
და ჰა, შარითვე გვიტეხენ
მოთხოვნის აურ ზაურსა!

საქმეს კი არვინ უყურებს,
თითქოს არიან ყრუები,
ან და ჰფიქრობენ, რომ ჩვენ ვართ
ადვილად მოსატყუები.

არა, ნტწუ!!! ჩვენ არ ვივიწყებთ
ჩვენგან გაცემულს პირობას,
არც ხელხვავობას ვიჩენთ იქ.
და არცა პურაძვირობას.

მხოლოთ უფლებას ვიტოვებთ
უკვე „კოლდოგოვორითა“,
რომ ლექსს ჩვენ თვითონ ვაფასებთ
სტრიქონს შაურით, ორითა.

თუ, რა თქმა უნდა, ამისი
ლექსიც სავსებით ღირსია,
თორემ ეს ვალი არ არის
და არც ერკოპის ნისია,

რომ პწკრებს არა თუ ავტორი,
იმისი ცოლიც კი სთვლიდეს
და გონონარის მირთმევას
შორითვე მკაცრად გვითვლიდეს.

ჩვენ ფულს მივართმევთ ავტორსა,
ზოგს არც ორშაურს ვაკმარებთ,
მხოლოთ ლექსს, შეფასების დროს,
ზედმიწევნითაც ვანსხვავებთ.

ზოგს ორ-ორ შაურს მიუთვლით,
ზოგს გავისტუმრებთ შაურით,
ზოგს რომ მადლობას მივუძღვნით,
ზოგს შევსძრავთ აურზაურით.

და რაც არ უნდა იხტუნოს,
დაადგეს მკლავ-ძალადობას,
არც ფულს ვაღირსებთ, არც ჟურნალს
და არც უბრალო მადლობას!

რადგან... ეს თავად განსაჯონ,
ლექსით რა იმსახურებენ?
ამიტომ თავს გაუფრთხილდენ
და ნურც ჩვენ მოგვიმდურებენ...

რომ ჩვენი პარმენ ობოლი
მწერალი კარგზე კარგია,
ეს ნათელია ისე, რომ
უარიც აღარ გვარგია.

მაგრამ აქ რა შუაშია
იმისი მანდილოსანი,
თუნდაც ოჯახში ის იყვეს
პარმენზე უფრო ხმოსანი?!.

პარმენ! შენც, თუ ძმობა გწამდეს,
გვიხსენი ამა შარითა,
და სიტყვას გაძლევ, რომ ოთახს
მართლაც აგივსებ ფარითი!..

(ის მაინც სავსე გქონია
წვიმით თოვლით და ქარითა!!!)

**ნიანგი.**

---

# პასუხი მოწოდებაზე

მესმა ძახილი ნიანგო,
და მოწოდება შენია,
ამ ქამად ფიქრად მოგსვლია
შენ გამდიდრება ჩვენია.

ზამთარი კარზედ მიდგანა,
შეშის არა მაქვს ღერია,
ოთახში მითოვს და მიწვიმს,
სულ ჩამომენგრა ჭერია.
(ათასჯერ ვთხოვე ქილოდდელს
დაიქცეს მათი კერია)

ისევ ვწერ და ვწერ წერილებს,
მე მკითხე თავის დადება
ორას წერილში შენ მაინც
ერთი კი გამოგადგება.

ერთ წკარზედ ორი შაური,
სწორედ რომ დიდი ვალია,
გოგრაში მუზას მოვძებნი
თუ კი მყავს ლამაზულაა,

და როცა ფულებს ავიღებ
ჩემ ნაშრომ გასამჯელოსა,
დავაფაცურებ ჩემს ცოლშვილს
საქმეს ვიქ სასახელოსა.

ცოლს ქერსეს კაბას უყიდი
ბალნებს კი შევიოტუმსა,
ალექსის უნდა მივმართო
კოდრაბანტს მომაწოდებსა.

ოთახსაც დავიქირავებ,
არც შევეშლები ფულზედა,
ბახმაროზედაც გავგზავნე
ცოლშვილსა გაზაფხულზედა..

მაგრამ იცოდე ნიანგო
არ შემიშალო პირია,
კოლდოგოვორის დარღვევა
დღეს სოკოსავით ხშირია,

რაც რომ მოგწერო დაბეჭდე
არ უქნა "საკრაშენია"
თუ დაუმატებ ცხონდება
საწყალი მამაშენია...

ყველა სიტყვებს სთვლის წყეული
ეგ ჩემი ცოლი დარია,
და—იცის ამ ჩემ ნაწერში
ეხლა რამდენი წკარია,

რომ ვერ მივიღო მე სრულად
ან არ გამოდგეს სწორადა
თუმც ცოლი კი მყავს ორსულად
მაგრამ თავს გაჰრის ორადა.

არ ეშინია მას არვის
არც ჩემი არ აქვს რიდია,
ყველაფერისა ელდვას მთხოვს
თუ ნახა ვასაყიდია.

მეტს ჯერ ვერაფერს მოგწერავ
თან დროც არა მაქვს ბევრია,
ვიმედობ, ალბათ სავსე გაქვს
შენი პირლია ქვევრია.

**პ. ობოლი.**

# აი, რა?!

მამა გნარავს პაპიროსს,
ჩუმჩაირა, ჩაირა...

დედა კლუბში აპირობს,
აი, რა!

მამა სიტყვებს აბარებს,
ჩუმ-ჩაირა,ჩაირა..,

დედა ეტრფის კაბარეს,
აი, რა!..

მამა მარტო იძინებს,
ჩუმ-ჩაირა, ჩაირა...

დედა ბალში კიკინებს...
აი, რა!..

მამა უვლის წიწილებს,
ჩუმ-ჩაირა, ჩაირა...

დედა ართობს „ყვინჩილებს",
აი, რა!..

მამა დედას იკითხავს,
ჩუმ-ჩაირა, ჩაირა...

დედა ამ დროს სხვებს მიჰყავს...
აი, რა!

მამა „მმაჩში" წავიდა,
ჩუმ-ჩაირა, ჩაირა...

და რქებს ახსნის თავიდან!..
აი, რა!..

დედა გაჰყვა მეორეს...
ჩუმ-ჩაირა, ჩაირა...

იქაც გაიმეორებს!..
აი, რა!

**ქოჩი.**

---

# ჩემი პალტოს ისტორია

კონდრობანდისტებო თქვენი...... გამოვედი მოთმინებიდან. ეს მოხდა ერთი თვის წინ— ბათომის სადგურში. მივსხედი ბილეთების კასას და უნუგეშოდ ამოვიოხრე. მატარებელი სადაა დაიძრება და ბილეთებს აღარ ჰყიდიან. მე რომ ხვალ სამსახურში არ გამოვცხადდე, მშვიდობით შემდეგ ქებაძის მაჭარო. „მაგრამ ღმერთი არ გასწირავს მოლარისაგან განაწირსა". მოვტრიალდი და ერთი სულ კოწია გამსაბურდიასავით გამოწერწეტებული ჩოხოსანი მოვარდა ჩემთან და მეუბნება: „თქვენ მგონი ბილეთი გნებავთ, მე სხვისთვის ავიღე ბილეთი და ის აღარ მიდის. ინებეთ თუ გნებავთ".

— დიდი მადლობელი ვართ. ინებეთ ფული.

—ვუპასუხე მე, გადავეცი ფული და გავექანე მატარებლისაკენ.

სიხარულისაგან კაცი თვალში აღარ მიჩნდა, წამოვკარი ფეხი ვილაცას ხურჯინს და გავიშხლართე ბაქანზე. წამოვდექი როგორც იყო.

— ამხანაგო წამობრძანდით აქეთ.

— რა გნებავთ?

— ბევრს ნუ ლაპარაკობთ, წამოდით.

— მუხლებმა კანკალი დაიწყეს, როცა ჩემს მოსაუბრეს მაუზერზე შევხედე. ცოტა მშიშარა კაცი ვარ და ნურავინ ნუ გამიმტყუნებს: ყველამ—ზოგმა პლატფორმა, ზოგმა „ტორმუზი", და რა ვიცი რა არ მონახა და მე ამდენი ხანია არც არავინ ყურადღების ღირსი გამხადა, არც არავითარი პლატფორმა არ მომცა და პირდაპირ ბათომის სადგურში ვდგევარ უპარტიოთ.

რაღა უნდა მექნა გავყევი.

გავიარეთ ერთი ოთახი, მეორე, და შევედით მესამე ოთახში წითელ ქუდიანს რომ თვალი მოვკარი, მომესმა ჩემი კბილების რაწკუნი, დამიბნელდა თვალი, მაგრამ მალე შემოუძახე ჩემს თავს: მედგრად შენ საწყალო, რომ გამაფუჭა კაცი. შენ იზამ სიკეთეს. რა დაგიშავებია, რამ შეგაშინა?!

ცოტა წელში გავსწორდი.

— პალტო აქ დარჩება, მეუბნება წითელქუდიანი.

შეშინებულ გულზე, ასე მომეყურა: „პლატონ სად დაძვრება“ გადავსწყვიტე, ნამდვილათ ვინმე პალტოს ეძებენ და მე მისი ამხანაგი ვგონივარ, ალბათ, მეთქი.

— რომელ.. პლატონ... მე არავის არ ვიცნობ პლატონს ამხ......

— პლატონს თქვენ არავინ გეკითხება, პალტო აქ დარჩება, გაიმეორა.

ეჰ, ეხლა დავიღუპე, პალტოს აქ ტოვებენ და მე ვინიცის სად მიკრავენ თავს. ვილაცამ მიმტრო, მაგრამ ვის შ შურდებოდა ჩემი წყალწალებული მდგომარეობა, ან ვინ მიიცალა ჩემზე.

— ამხანაგო არ გვეტყვით, რა დავაშავეთ?

— თქვენ კარგად იცით, რაც დააშავეთ,— მიპასუხა წითელ ქუდიანმა და პალტოს ორჯერ, სამჯერ ხელი შეარო.

— რა არის ამ პალტოში?

— ბამბა, წამოვიძახე და გულს მომეშვა. მივხვდი რაშიაც იყო საქმე. კონდრაბანდი რაიმე გონიათ ალბათ.

— ასე მძიმე ბამბა ჩვენში არ არის,—დაუმატა მან, პალტო იქვე მაგიგაზე დასდო და მომაშტერდა თვალებში.

— ამხანაგო რითი დაგიმტკიცოთ, რომ ბამბაა შიგ და სხვა არაფერი. გთხოვთ მატარებელზე ნუ დამტოვებთ. სამსახურში უნდა გამოვცხადდე.

— თქვენი სამსახური ვიცით.

რ.რ.რ.რ.... მისცეს მატარებელს წასვლის ნიშანი.

რა ვქნა, როგორ დავიხსნა თავი.

ბდამიანი ხარ და ნუ დამღუპავ, ნუ დამტოვებ მატარებელზე.

არაფერი არ გადის.

ამ დროს უეცრად თვალი მოვკარი მაგიდაზე დანას, ვსტაცე ხელი დავადევი პალტოს სარჩულზე და დაუსვი. იგრიალა ბამბამ. დანა მახვილი ყოფილიყო, ველარ შავიკავე თავი და ბოლომდი ჩავიყვანე სარჩულზე.

— უკაცრავათ ამხანაგო.

— უკაცრავათაც ხარ და დიდი ბრიყვი ვინმე,—გავზედე ის, დავატანე ამ ჩემს გამოზიგნულ პალტოს ხელი და დავედევნე დაძრულ მატარებელს, შევახტი საფეხურზე, ვაგონის კარზე კალოსავით იყო ხალხი ერთი მეორეზე მოყრილი, ვიყავი ასე ჩამოკიდებული ქობულეთის სადგურამდე.

ვხელამდი ჩემი დასაბრმავებელი თვალებით, როგორც მისცვიოდა ჩემს პალტოს ბამბა ნაფლეთ ნაფლეთებია და როგორც ის იფანტებოდა ქარში. ქობულეთში ჩემი პალტო თლად დაიცალა ბამბისაგან. კოტრაბანდისტებო თქვენი......

პალტო იყო შეკერილი
დიდი თმენით, დიდი ამბით
ჩემი ოფლით შეძენილი
გატენილი შიგნით ბამბით.
მასში იყო გადახდილი
ჯამაგირი ოცი კვირის
მიტომ მისი შემხედვარე
ნიადაგმცა ეხლაც სტირის.
ზათომლებმა არ იცოდენ
არ იცოდენ, ამათ, ალბათ
რომ ზამთარში მას ვხმარობდი
როგორც პალტოთ, ისე საბნათ.

ბუშტი,

# სიზმრების ახსნა.

ჟამსა პირველსა მამლის ყივილისასა და ბალ-რესტორანების დაკეტვისას თუ ნახო სიზმარში შევიოტის პალტო, აბრეშუმის ჩულქი და პუდრა „ლორიგან-კოტი“, კარგია: რომელიმე დირექტორს ფული ექნება შეჭმული!

— თუ ნახო სიზმარში ბალღინჯო თამბაქოს სჭამდეს, არ ვარგა:—რომელიმე ტრესტის მაღაზიის გამგე ფულის შეჭმაში თვითონვე გამოტყდება.

— თუ ნახო სიზმარში გატეხილი ბოთლი, ხელადა ან კვარტიანი, არ ვარგა—უნებლიეთ ღვინის ტრესტს ღვინო, სპირტი, ან ფული დააკლდება.

— თუ ნახო სიზმარში თაგვი ერბოთ სავსე ქილის გვერდზე მდგომარე რკინასა სჭამდეს, კარგია:—უყავ მეორე დღესვე უახლოეს მუშკოპის მაღაზიას რევიზია და აღმოაჩენ მადა გახსნილობას.

— ჟამსა მეორესა მამლის ყივილისასა და ნაქეიფართა შინ მოსვლისასა თუ რომ ნახო სიზმარში ბავშვი აკვანში შიმშილისაგან სტიროდეს, ცუდი ნიშანია:—რომელიმე დამზღვევ სალაროს უთუოდ ფული აკლია.

— თუ რომ ნახო სიზმარში ავადმყოფს წამალი გვერდზე ედგას და ვერ სვამდეს, კარგია:—რომელიმე ჯანმრთელობის ჯანმრთელი გამგე ფულის ჭამაში საბუთებს წარმოადგენს.

ჩორნა.

„კომუნისტი“
მიიღება ხელის მოწერა ნოემბრისათვის

ყველა ხელის მომწერლებს დაურიგდებათ
უფასოთ „კომუნისტი“-ს დამატებები
„მეცნიერება და ტეხნიკა“
თვეში ორი ნომერი.

„ჩირაღდანი“
იუმორისტული განყოფილებით
„ეშმაკის მახე“
თვეში ორი ნომერი.

სტამბა „ზარია ვოსტოკა“-სა, წულუკიძის ქ., № 4. შეკვ. № 186. მთავლ. № 1778. ტირაჟი 16.000.